№ 2753
ხუთშაბათი,
24 თებერვალი

ცნობის ფურცელი

№ 2753
ხუთშაბათი,
24 თებერვალი

ა ზეთი ღირს: წელიწადში—6 მ., თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3 კ., (დამატ. —5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და განცხადებათა კონტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს, ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“. ტელეფონი № 372.

ელისაბედ დიმიტრის ასული ნათიშვილისა შვილებითურთ გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავებსა და ნაცნობებს, რომ, ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ, 22 თებერვალს გადაიცვალა საყვარელი მეუღლე მისი

ილია ზარამის ძე ნათიშვილი

პანაშვიდები დილით 12 ს., საღამოთი—7 ს. საკუთარ სახლში, მეჯვრის ქ. № 74. გამოსვენება ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში შაბათს, 26 თებერვალს; დაკრძალვა მართლ-მადიდებელთა კუკიის სასაფლაოზე. (1—63—1)

ქართული წარმოდგენა. სახაზინო თეატრი. სეზონის უკანასკნელი წარმოდგენა ხუთშაბათს, 24 თებერვალს, 1905 წ. აბონიმენტის გარეშე, ბენეფისი კ. მესხისა ვ. მესხიშვილის მონაწილეობით წარმოდგენილი იქმნება პირველად ცნობილი პიესა

დრამა 5 მოქმ. **„რუი-ბლაზი“** თარ. პ. ყიფიანის და კ. მესხისა

მონაწილეობას მიიღებენ: ბ-ნნი ვლ. მესხიშვილი, კ. მესხი, გუნია, სვიმონიძე, შალიკაშვილი და სხ. ქ-ნნი გაბუნია, ნ. ჩხეიძე, მესხი, ჯავახიშვილი და სხ. რეჟისორი **კ. მესხი.**

გაიხსნა

პირველ იანვრიდან ტფილისში ვოკზლის ქუჩაზე, არამიანცის სახლში № 3 კავკასიის სატეხნიკო კანტორა

„საზომი და საწყაო“

და იმასთან სასწორისა და გირების პირველი კავკასიური სპეციალური სარემონტო და შესაკრები კი (შეიძლება ვადაკეთება, შეკეთება, გამოწონა) ინჟენერ-ტეხნოლოკების ი. ს. კაცისა და ს. გ. დუკელსკისა. (10—6)

მოიპარეს

ნაღდ ფულად . . . . 1266 მ. 17 კ.

სარგებლიანი ქაღალდები:

4 ბილ. I სესხისა 14864/49, 09819/23, 11496/25, 15265/44

4 „ II სესხისა 17666/8. 14126/27, 01981/31, 10014/7

13 „ III სესხისა 08591/17, 01590/46, 01658/7, 08588/17, 08589//17 08590/17 08707/17, 08703/17, 02207/36, 00372/1, 08592/17 08706/17, 11340/48.

აქციები:

კალანთაროვისა—4 აქცია, №№ 96, 97, 98, 99 თითო 5000, სულ 20000 მ.

ნაბატოვისა—4 „ . . . . „ 5000—20,000 მ.

არამაზდისა—48 „ №№ 5551-დან 5578-მდე, 8306, 8325, თითო 250 მ. სულ 12,000.

არალო-კასპიისა—52 აქცია, თითო 250 მ., სულ 13,000 მ.

ვორონტანისა—28 აქცია №№ 1296, 1297, 1515, 1516, 1349, 1350, 1710, 485, 486, 487, 488, 489, 412, 1131-დან 1135-მდე, 1115, 1111-დან 1114-მდე, 1347, 1348, 1661, 1667, 1688, 1609, თითო 250 მან., სულ 7,000 მან.

არამაზდ და ვორონტან ტერ-მარკაროვებისა—60 აქცია. ნომრები არ ვიცით, თითო 250 მ. სულ 15,000 მან.

ყველა ეს მოიპარეს კარაპეტ და ბეგლარ ვართანოვების მაღაზიიდან, რომელიც იმყოფება სიონის ქუჩაზე ანანოვის ქარვასლაში. ვინც ამაებს წარმოადგენს, იმას კარგი ჯილდო მიეცემა. (1—1)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

ქირურგის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

მ. ი. ბიჭინაძე. კბილის 8—9 საათ.

გ. გ. მაღალაშვილი. შინაგანი ოთხშაბ. 9—10 საათ. და კვირაობით 9—11 საათ.

ა. ი. ბალარჯიშვილი.—ბავშვებისა. 9½—11½ ს.

ნ. ტ. ჯულიენი.—ყურისა, სასისა და ცხვ. 10—11.

ი. დ. ლამბაშიძე.—შინაგ. სამშ., ხუთშ., პარასკ. და შაბათობით 11—12.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, და ნერვებისა 12—1 ს.

ქალი ექ. ქ. იოსელიანი.—ქალისა და სა[illegible], სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

ა. ნ. დიასამიძე.—ვენერიული და კანისა 12½—1½ საათ.

ს. ხ. ალექსი-მესხიშვილი.—ქირურგია 1—2.

ოპერაციების გაკეთება შეუძლიანთ გარეშე [illegible]-ქირურგებსაც.

ერთი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ., ავადმყოფთ აქვს ოცი საწოლი. სამკურნალოში ოპერაციები მორიგებით. კრავატები დღეში ერთის სამი მან. საზოგადო და ნომერი—5 მან.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9. [illegible] ქუჩიდან-კი 34 Б.

ტელეფონი № 274.

ექიმი

ი. ა. გოკიელოვი

ავადმყოფებს: სიფილისის, ვენერიულის, [illegible] და ნერვების. მიხაილოვის ქ. № [illegible] დილის 9—12 საათ. და საღამოს [illegible] საათამდე.

ექიმი

ა. ნ. დიასამიძე

[illegible] ავადმყოფებს: სიფილისის, კანის და ვენერიულის ყოველ დღე დილის 9—11-მდე და საღამოს 6—8-მდე, გარდა კვირის საღამოსი. ლორის-მელიქოვის და ბარონის ქუჩების კუთხე, მესხიშვილის [illegible] ფოსტის პირდაპირ № 18. (60—28—24)

კბილის ექიმი

ივანე პ. ახალშენიშვილი

ბინა: ნიკოლოზისა (№ 32) და ხიდის ქ. (№ 21) კუთხეში, ავჭალის ქ. დასაწყისში, სახლი ლაზარაშვილისა. ავადმყოფებს იღებს 9—2 და საღამოს 5—7. კვირა-უქმით 10—1-მდე!.

ქ. ბათუმში

ექიმი ა. გ. მაღალაშვილი

მიიღებს შინაგანის და ბავშვების სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილის 9—10 საათამდის. [illegible] და ვლადიკავკავის ქუჩების კუთხეში. [illegible] ბანკის სახლი. (60—408—19)

კბილის ექიმი

ე. ი. ბალარჯიშვილი

იღებს ავადმყოფებს 10—3 საათამდე და 5—7 [illegible]ილის ქუჩა № 115. გერმანელთა ტაძრის გვერდით. (30—17—45)

თელავის სამარხი კასის

საზოგადო კრება

დანიშნულია 27 თებერვალს, დილის 11 საათზე, თელავის სათეატრო დარბაზში. გამგეობა სთხოვს წევრებს მობრძანდნენ.

საზოგადო კრება 1. განიხილავს და დაამტკიცებს წლიურ ანგარიშს, 2. აირჩევს ერთს გამგეობის წევრს და მის კანდიდატს, 3. აარჩევს სამს წევრს სარევიზიო კომისიისას და სამს კანდიდატს, 4. აარჩევს სამს წევრს მიმღები კომისიისას და სამს კანდიდატს, 5. გამოარკვევს დამოკიდებულებას კასის საზოგადოებისას გარდაცვალებულ წევრისადმი გარდა სამარხო-შემწეობის აღმოჩენისა. (3—01965—3)

ნამდვილი ცელულიარული

თესლი აბრეშუმისა

ბაღდადის ჯიშისა, ოსმალეთის საუკეთესო ფირმებისა

ა. კ. ზახარიადისა.

ერთად-ერთი წარმომადგენელი კავკასიაში **ძმ. პაპკალიძეების** აგრეთვე ვყიდი საჯიშო თესლს ბაღდადის ჯიშისას. მსურველთ შეუძლიანთ აგრეთვე ჩემგან შეიძინონ თესლი ოსმალეთის და საფრანგეთის საუკეთესო ფირმებისა. 20 აპრილამდის მიჰმართეთ: ტფილისში, სოლოლაკი, ლერმონტოვის ქ. № 18 და 20 ერამოვის სახლი. (30—429—12)

ქუთაისში შუაგულ ქალაქში, საუკეთესო ქუჩაზე, [illegible] [illegible] იყიდება შემოსავლიანი მამული შენობით. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ სტეფანე ფეიქაროვის მაღაზიაში. (12—8)

მთავრობის განკარგულებანი

(„კავკაზ“, № 51, 23 თებერვალი)

იარაღის სროლის აკრძალვა ბათუმში.

წეს-რიგისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველად საჭიროდ ვცან, 1903 წელს მთავარ-მართებლის მიერ ქალაქ ბათუმისთვის გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათა დასამატებლად, გამოვაცხადო:

1. ქალაქ ბათუმში, ქუჩებსა და მოედნებზე, აგრეთვე სახლებიდან და სხვა შენობებიდან აკრძალულია თოფის, რევოლვერის ან სხვა იარაღის სროლა.

2. ვინც პირველ მუხლში აკრძალულ სავალდებულო დადგენილებებს დაარღვევს, იმას ან 500 მანეთამდე ჯარიმა გადახდება ადმინისტრატიულის წესით ან სამ თვემდე დაპატიმრებულ იქნება. ასეთ სასჯელის დადების უფლებას ვაძლევ ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორს.

3. ეს სავალდებულო დადგენილება ძალაში შევა გამოქვეყნების დღიდან.

კავკასიის მთავარ-მართებლის თანამ. ადმ. გენ.-ლეიტ. **მალამა**

არეულობა ქუთაისში

14 თებერვალს დილით ქალ. ქუთაისში ადგილობრივ ვაჟთა გიმნაზიის მოსწავლენი გიმნაზიის შენობასთან შეიკრიბნენ. როდესაც გაიგეს, რომ სწავლა შეწყვეტილიაო, ყვირილით თავიანთი უკმაყოფილება განაცხადეს და მერე დაიშალნენ. ამასთან ვილაცამ ორი ფანჯარა ჩალეწა შესავალ კარებში. რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი-კი, როდესაც გამოუცხადეს სწავლის შეწყვეტა, სასწავლებლის ეზოში შევიდნენ, ორას კაცამდე შეიკრიბნენ და „ურა“-ს ძახილით ორი წითელი დროშა ააფრიალეს, თან რევოლვერების სროლა დაიწყეს. ერთის ტყვიით უცაბედად მსუბუქად დაიჭრა მე-6 კლასის მოსწავლე ალექსანდრე კოსიანოვი. იქვე მყოფმა პოლიციის ბოქაულმა პოლიციელებით მოინდომა სასწავლებლის ეზოში შესვლა, მაგრამ დირექტორმა სთხოვა არ შესულიყო და პირობა მისცა, მე თვითონ დავამშვიდებ მოსწავლეებსაო. ეზოდან გასვლისას, მოსწავლეებმა ბალახვანის ქუჩაზე მოიყარეს თავი. შეიკრიბა 200 კაცამდე. ამათ გიმნაზიელნიც მიემხრნენ. ეს ამოდენა ხალხი სიმღერითა და ყვირილით გაემართა წმ. ნინოს ქალთა სასწავლებლისაკენ, სადაც მათ დახვდნენ პოლიცმეისტერი და ბოქაული. ნაწილი მოსწავლეებისა გაიფანტა, ხოლო დანარჩენნი 70 კაცამდე, შეიპყრეს და გიმნაზიის და რეალურ სასწავლებლის დირექტორებს გადასცეს, რომელთაც მოსწავლენი სახლებში დაითხოვეს და პატიოსანი სიტყვა ჩამოართვეს, რომ არავითარ უწესოებებს არ მოახდენენ. მთელი დღე და საღამო რეალურ სასწავლებლის მოსწავლენი ბულვარსა და უმთავრეს ქუჩებზე შეჯგუფებულნი დადიოდნენ. თან რევოლვერებს ისროდნენ და პოლიციის ბრძანებას არ ემორჩილებოდნენ.

საღამოს 5 საათზე ახალგაზდათა ჯგუფმა, რომელსაც ზოგიერთი ნოქრებიც შეუერთდნენ, სულ 200 კაცამდე, ქვებისა და რევოლვერების სროლა დაუწყო საპოლიციო დარაჯთა რაზმს, ამასთან დასჭრა ორი ცხენი. ერთი დარაჯის ფარაჯა ხუთ ადგილას აღმოჩნდა ტყვიით დახვრეტილი. თავისს მხრივ დარაჯთაც ნება-უნებურად სროლა დაუწყეს დემონსტრანტებს. მთელი საღამო ბულვარიდან, საცხოვრებელ სახლებსა და აივნებიდან ესროდნენ ყაზახ-რუსებსა და საპოლიციო დარაჯებს. ამის გამო ყაზახებმა და დარაჯებმა იარაღს მიჰმართეს. ამასთან ზოგიერთი ყაზახი და დარაჯი დაშავდა ქვებისაგან, ხოლო ერთი დემონსტრანთაგანი, ნოქარი თევდორაძე, მოკლულ იქნა. მძიმედ დაიჭრნენ: ხელოსანი ხაბურზანია და ნოქარი ბოკერია; მსუბუქად დაიჭრნენ: გიმნაზიელი ლოლობერიძე, რეალურ სასწავლებლის მოსწავლე ჩიჩუა და ყარაული ბაბუნიშვილი.

უწესოება ერევანში

ქალ. ერევანში, 20 თებერვალს, მოედანზე ჩხუბი მოუვიდათ და ერთმანეთს სროლა დაუწყო ორმა მაჰმადიანმა. ამის გამო ასტყდა ალიაქოთი და დაიწყო მახლობელ დუქნებსა და სახლებიდან სროლა. ისროდნენ უმთავრესად ჰაერში. მოკლული აღმოჩნდა სამი სომეხი და ერთი მაჰმადიანი, დაჭრილი ერთი ებრაელი, ორი მაჰმადიანი და შვიდი სომეხი. უწესოება [illegible] მოსულმა როტამ, პოლიციამ და დარაჯებმა. გუბერნატორმა მეცხოვნე ჯარის უფროსსა, სომეხთა ეპისკოპოსსა, ქალაქის მოურავსა და აგრეთვე სომეხ და მაჰმადიან საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად ქალაქს შემოუარა. ამის შემდეგ ქალაქი თითქო დაწყნარდა.

21 თებერვალს პოლიციელნი საპატიო სომხებსა და მაჰმადიანებთან ერთად უვლიდნენ ბაზარს და სავაჭრო ადგილებს. ყველგან მშვიდობიანობაა. დილის 10 საათზე ბაზარში რამდენჯერმე გაისროლეს. ამის შემდეგ სროლა ასტყდა ქალაქის სხვა და სხვა ადგილებში. ნახევარ საათის შემდეგ პოლიციამ და ჯარმა უწესოება ჩააქრო. სავაჭროები დაიკეტა. დაიჭრა თორმეტი მაჰმადიანი და ექვსი სომეხი. წესიერების დასაცველად გუბერნატორმა საპოლიციო დარაჯის გარდა ჯარიც დანიშნა.

პოლიტიკური მკვლელობა

19 თებერვალს ქალ. ერევანში, საღამოს 7 საათზე, ვიღაც უცნობ ბოროტ-განმზრახველთ მოჰკლეს საგუბერნიო ექიმი ურუზოვი. როგორც ეტყობა, მკვლელობა პოლიტიკურის აზრით უნდა მომხდარიყო.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 თებერვალი.

ტოკიო. აქ ძალიან კმაყოფილნი არიან ჩილისა და არგენტინის განცხადებით, რომ ომიანობის დროს არც ერთი სამხედრო გემი არ მიუყიდნიათ და არც მიჰყიდიან მებრძოლ მხარეებს ან და მესამე სახელმწიფოს; ამ უკანასკნელს მიეყიდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მას განმარტებულ გარანტიას მისცემენ, მტკიცეთ დაიცვას ნეიტრალიტეტი. ბრძოლის ველიდან მოსული ამბები უწინდებურად გვაუწყებენ, რომ იაპონელებს საქმე კარგად მისდისო. იაპონიის მარცხენა და მარჯვენა ფრთები ენერგიულად აჩვევინებენ რუსებს უკან. ბრძოლის ველი წარმოადგენს რკალს, რომელიც თითქმის გარეშემო უვლის მუკდენსა და ფუშუნს. სამხედრო მოქმედება ასეთ დიდს მანძილზეა, რომ ომის ბოლოს რამდენიმე დღის შემდეგ შეიძლება ველოდეთ.

ჰონკონგი. იაპონიის სამმა კრეისერმა, ერთმა მაშველმა და ორმა სანაღმირემ, გაიარეს აქ ნავსადგურს და სამხრეთისაკენ წავიდნენ. 18 თებერვალს 22 სამხედრო და სანაღმირე გემი სამხრეთ-აღმოსავლეთით წავიდა.

სინმინტინი, 21 თებერვალი. მუკდენიდან სამხრეთით ექვსი მილის მანძილზე გამწვავებული ბრძოლაა. იაპონელებმა დაანგრიეს ორი სოფელი. ამ სოფლის მცხოვრებლები დარჩნენ უსახლ-კაროთ. მუკდენის გზა ჯერ არ დაუჭერიათ. რუსებს ისეთი საბრძოლი ადგილი უჭირავთ, თითქოს ისინი სცდილობენ დაუშალონ იაპონელებს გარს შემოუარონ მარჯვენა ფრთას. იაპონიის ჯარის-კაცებს უჭირავთ აქაური სატელეგრაფო კანტორები. ალბათ, ჩქარა ცენზურასაც დააწესებენ, თუმცაღა ჯერ სინმინტინის დაჭერა ოფიციალურად არ გამოუცხადებიათ.

შანხაი. როგორც ჩინელები გვაცნობებენ, იაპონელთა ჯარები მოსულან ერთ ადგილას, მუკდენის ჩრდილოეთით, რათა მოუჭრან რუსებს უკან დასახევი გზა. სინმინტინიდან მოსულ დეპეშის თანხმად, მუკდენში მისვლა-მოსვლა შესწყდა.

პეტერბურგი. გენერალ-ადიუტანტ კუროპატკინის უქვეშევრდომილესი დეპეშები: 1) 20 თებერვალს: „დღეს ხუნხეს მარჯვენა ნაპირას მტერს იერიში მოჰქონდა ფრონტზე სოფ. მადიაპუს ჩრდილოეთით, სოფ. ნიუსინტუნამდე. ყველა იერიში მოვიგერიეთ. ჩვენის მარჯვენა ფრთის რაზმი იერიშით წავიდა სოფ. ნიუსინტუნის ჩრდილოეთით და ბრძოლის შემდეგ ეს სოფელი აიღო, თუმცა-კი ბრძოლა გამწვავებული არა ყოფილა; სოფ. ნიუსინტუნის ჩრდილოეთით რამდენიმე სოფელიც აიღო. ხუნხეს მარცხენა ნაპირას მტერმა მეტად მედგარი იერიში მოიტანა სოფ. ელტხაიზაზე, მადიაპუს სამხრეთით, 2 ვერსტზე, მაგრამ საღამოს 7 საათამდე 7 იერიში მოვიგერიეთ. მტერს სახეპუს მიდამოებშიაც მოჰქონდა მედგარი იერიში, მაგრამ ეს იერიშიც მოვიგერიეთ. პუტილოვის გორის მიდამოებში კონტრ-იერიშის შემდეგ ჩვენმა ჯარმა ერთ ადგილას წინ გაილაშქრა და 100-მდე იაპონელი დაატყვევა. ერდაგოუს მიდამოებში იერიში არ მიუტანიათ. კანდოლისანის მიდამოებში მდებარე პოზიციების მარცხენა ფრთაზე რამდენიმე იერიში მოიტანეს, მაგრამ მოვიგერიეთ. პოლკოვნიკი რუმშევიჩი დასჭრეს. დღეს შენიშნეს, რომ გოუტულინის უღელტეხილთან მდებარე პოზიციების მარჯვენა ფრთის პირდაპირ მტრის ჯარმა უკან დაიწია; ჩვენი მოხალისენი სოფ. შუნცუიცამდე და ჩანხიზაიმდე მივიდნენ და ჩანხიზაიდან იაპონელები განდევნეს. სოფ. უბენეპუზასთან მტერი ძლიერ მოიწევდა წინ, მაგრამ ჯვარედინად ზარბაზნი დავუშინეთ და მტერი თავის წინანდელ პოზიციებზე წავიდა; სოფ. კუდიაზასთან პოზიციის მარჯვენა ფრთაზე მოტანილი იერიშიც მოვიგერიეთ. დღეს ჩვენი ჯარი ცოტაოდნად წინ წაიწია და ბრძოლით აიღო სიმაღლე, რომელიც ზემოდან დაჰყურებს მიდამოებს.“ 2) 21 თებერვალს: „ცენტრში ღამემ მშვიდობიანად ჩაიარა. ჩვენის ჯარის მარჯვენა ფრთა მუკდენის დასავლეთით დღეს ლაშქრობას განაგრძობდა უსახელო სოფელს იქით, სოფ. გუანტუნის სამხრეთით ვერსტ ნახევარზე, მაგრამ იაპონელებმა ორას ნაბიჯიდან ერთბამად ზარბაზნი დაუშინეს და თოფები დაახალეს და უკუ-აგდეს ჩვენი რაზმი. ღამის 11 საათზე მეათე იერიში მოვიგერიეთ. ჩვენმა არტილერიამ ერდაგოუს პოზიციიდან გუშინ გვერდიდან ზარბაზანი დაუშინა იაპონელებს და ჩვენს ჯარს პუტილოვის გორაზე მოტანილ იერიშის მოგერიებაში დაეხმარა. გუშინ, ღამის 12 საათზე, კანდოლისანის მიდამოებში იაპონელები იერიშით წამოვიდნენ ჩვენის პოზიციების მთელ ფრონტზე, მაგრამ ღამის 3 საათამდე ყველა იერიში მოვიგერიეთ. გაოტულინის პოზიციაზე მტერს იერიში არ მოუტანია. ამ პოზიციის ცენტრის წინ 30-მდე მოკლული იაპონელი აფიცერი და 2 ათასამდე სალდათი დასთვალეს. ზოგი დავასაფლავეთ. ღამის 12 საათზე იაპონელებმა გაძლიერებულ ზარბაზნის სროლის შემდეგ ხელ-ახლად მოიტანეს იერიში ჩვენ პოზიციებზე სოფ. უბენეპუზასთან. ჩვენმა რაზმმა სოფ. ტამაგუშანთან რამდენიმე იერიში მოიგერია და დიდი ზარალი მისცა იაპონელებს. განაპირა მარცხენა ფრთაზე ჩვენს პატარა რაზმს ესაულ თავად დოლგორუკოვის უფროსობით გუშინ მარჯვე შეტაკება მოუვიდა მტერთან უღელტეხილის დაჭერის დროს, კუდიაზას აღმოსავლეთით, 10 ვერსტზე; იაპონელთა ესკადრონმა და ნახევარ როტამ მოკლულები და იარაღი დასტოვა და უწესრიგოდ უკან წავიდა“.

რომი, 22 თებერვალი. კაბინეთის შედგენა მაენდო პალატის ვიცე-პრეზიდენტს ფორტისს. წინანდელ კაბინეთის წევრების უმეტესობა ტიტონთან ერთად წინანდელ ადგილებზე რჩებიან. ოფიციოზურ ორგანო „ტრიბუნა“-ში დაბეჭდილია სტატია, რომელმაც საყოველთაო ყურადღება მიიქცია. ამ სტატიის სიტყვით, იტალია და რუსეთი უფრო უნდა დაუახლოვდნენ ერთმანეთს.

პეტერბურგი. 22 თებერვლის სხდომაზე მინისტრთა კომიტეტმა გაარჩია კითხვები, რომელნიც შეეხება რუსეთის არა მართლმადიდებელთ. ილაპარაკეს არა მართლმადიდებელთა ეკლესიების გაკეთების შესახებ წესების შეცვლაზე, რელიგიოზურ საზოგადოების დაარსების წეს-რიგზე. და აგრეთვე, თუ როგორ უნდა მოეწყოს კათოლიკეთა მონასტრის საქმე სამღვდელოდ პოლონეთში. ბოლოს კომიტეტი შეჩერდა იმ კითხვაზე, რომელიც საღმრთო სჯულის სამშობლო ენაზე სწავლებას შეეხება არა-მართლმადიდებელთათვის.

ერევანი, 22 თებერვალი. 20 და 21 თებერვალს სომხები და თათრები იარაღით დაეცნენ ერთმანეთს. მოკლული და დაჭრილი 40 კაცია. თუ უბედურობა არ გაძლიერდა, ეს გუბერნატორისა და გარნიზონის უფროსის ენერგიისა და ტაქტიკის წყალობით. დღეს ზემოდ მოხსენებულ პირებისა და აგრეთვე მაჰმადიანთა და სომხების მეცადინეობით შერიგება მოხდა. იმედი აქვთ, რომ კვლავ აღარ დაარღვევენ წეს-რიგს.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან“

22 თებერვალი.

ლონდონი, 21 თებერვალი. იაპონიის საელჩომ გამოაქვეყნა ტოკიოს დეპეშა: „რუსები შეუპოვრად იბრძვიან. დილით 20 თებერვალს იაპონელებმა დაიჭირეს გორაკი, პენიულუაპოს ჩრდილოეთით, ვანტუშანის აღმოსავლეთით, ოთხი მილის მანძილზე. 19 თებერვალს ხანსუნგ-მუპაოძის ახლოს იაპონელებმა დაიჭირეს რუსების პირველი პოზიცია. 20 თებერვალს [illegible], რკინის გზის აღმოსავლეთით, რკინის გზის დასავლეთით დაიჭირეს ლინჩანტუნგი, ვაპაოშანის სამხრეთ-აღმოსავლეთით. 21 თებერვალს იაპონელებმა დაიჭირეს ხანჩენის უღელტეხილი და ხოიასუჩიპაო. იაპონელებმა დასწვეს რკინის გზის სადგური საიატუნი“.

ვენ. ოკუს არმია, 20 თებერვალი. (რეიტერი). რუსის ცენტრზე იერიშის მიტანა არ შეუწყვეტიათ. გუშინ ღამით რკინის გზით იაპონელებმა წინ წაიწიეს ერთი მილის მანძილზე და ხელთ იგდეს რამდენიმე გაუბიცა (სალყუ ზარბაზანი) და ტყვის მტყორცნელი. რუსებმა უკან დახევა იწყეს. იაპონელთ დაჰკარგეს 3000-მდე. იაპონელები მიდიან აღმოსავლეთისაკენ; რკინის გზაზე დაიჭირეს აწშინპუ, მუკდენიდან სამხრეთით, 12 მილის მანძილზე. 19 თებერვალს იაპონელებს მთელი დღე არ შეუწყვეტიათ იერიში. რუსების ზარალი 1000 კაცია. 17 თებერვალს იაპონელებმა დაიჭირეს ჩანტანი, კუაძი, ერტაიძი.

ვაშინგტონი, 21 თებერვალი („რეიტერი“). ინგლისის გემს „კარლეილ“-ს, რომელიც ვლადივოსტოკს მიდიოდა, ნება დაართეს მანილის ნავთსადგურში გაჩერდეს. იაპონელების გემები ჰყარაულობენ ამ გემს. შესაძლებელია ნება მისცენ ამ გემს ომის გათავებამდე, ტრანსპორტ „ლონა“-სავით, ამ ნავთ-სადგურში დარჩეს.

ტოკიო, 22 თებერვალი. რუსები ამყარებენ თავიანთ ჯარებს ფუშუნის დასაცველად. ჯერ არ ვიცით, უკან დაიხევს კუროპატკინი, თუ გადასწყვეტს შეირჩინოს პოზიციები.

ნიუ-ჩუანი, 22 თებერვალი. აქ მოსული ვაჭრები ამბობენ, რომ იაპონელთ რაზმმა, რიცხვით 30,000-მა კაცმა, დაიჭირა გუშინ ღამით გამაგრებული პოზიციები მუკდენის დასავლეთით კარებიდან 5 მილის მანძილზე. გათენებამდი გაგრძელდა ხელჩართული შეტაკება. ვერც ერთმა მხარემ ვერ მოიგო. რუსების რაზმი, 1000-მდე კაცი, მიიწევს სამხრეთისაკენ, ლიაოხეს აღმოსავლეთ ნაპირ-ნაპირ, რათა იერიში მიიტანოს იაპონიის ჯარზე უკანიდან. უეჭველია, შეტაკება მოხდება, სამხრეთ-აღმოსავლეთით აქედან 13 მილის მანძილზე. დღეს იაპონელებმა დაიჭირეს ტელეგრაფის სადგური სინმინტინი და ძალით დააარსეს დროებითი ცენზურა, მიუხედავად ჩინელების ჩინოვნიკების პროტესტისა. იაპონელთ სამხრეთი ფრთა იმყოფება 17 მილზე მუკდენიდან და განუწყვეტლივ მიდის წინ. ამ წამს ლიაოხეზე

ძლიერი სროლაა. ფიქრობენ, რომ რუსები სცდილობენ უკანიდან მოუარონ იაპონელთ ფრთასო. („რეიტერი“).

ბერლინი. პოლკოვნიკი გედკე სწერს „ბერლინ.-ტაგებ.“-ს, რომ იაპონელებიც ისე იყვნენ შევიწროებული ხუნხესა და შახეს შორის, როგორც ეხლა კუროპატკინია და გამარჯვებულები გამოვიდნენო. შესაძლებელია, რომ ეხლანდელი მდგომარეობა გააორკეცებს რუსების ენერგიას, მით უფრო, რომ მტერი დასუსტებული და მოქანცულია გაბმული იერიშებით.

პარიზი. მუკდენის კორესპონდენტი დეპეშით იუწყება „ჟურნალ“-ში, რომ რუსეთის ცენტრისა და მარცხენა ფრთის წინააღმდეგ მიტანილი იერიშები მოგერიებულ იქნა. მარჯვენა ფრთაზე გამოურკვეველი მდგომარეობაა. ლინევიჩმა 21 თებერვალს მოიგერია 13 იერიში კუროკისა. იაპონელებმა დაჰკარგეს 40000 კაცი. დაბრუნდა პრინცი ხიმე ბურბონელი.

ბერლინი. რეიხსტაგმა უკამათოდ მიიღო ავსტრო-უნგრეთთან სავაჭრო ხელ-შეკრულობის დამატება. ეს ხელშეკრულობა ძალაში შევა 1906 წ. 16 თებერვალს.

სტოკჰოლმი. კრონ-პრინც რეგენტმა მიანდო მიხელსონს დააარსოს ახალი სამინისტრო ნორვეგიისა.

სტამბოლი. ავსტრიისა და რუსეთისა საფინანსო პროექტს პორტამ კონტრ-პროექტით უპასუხა.

ვაშინგტონი. ამერიკის ელჩი მეიერი რომიდან გადაყვანილ იქმნა პეტერბურგში მაკ-კორმიკის ადგილზე. ეს უკანასკნელი პარიზში დანიშნეს. ულიამ როკკგილკი ინიშნება ჩინეთის ელჩად, კონჯერის ადგილზე, რომელიც გადაიყვანეს მექსიკაში.

ქრისტიანია. სტორტინგის კომისიამ გადასწყვიტა, რომ მიმდინარე სესიაში უნდა შემუშავდეს კანონი, რომლითაც უნდა დაარსდეს ნორვეგიის ცალკე საკონსულო. ეს კანონი ძალაში უნდა შევიდეს არა უგვიანეს 1906 წ. 19 თებერვლისა. როცა სტორტინგი მიიღებს კომისიის გადაწყვეტილებას, მაშინ მთავრობა გამოაცხადებს, რომ შვეციასთან საერთო საკონსულო გაუქმდა.

ბელოსტოკი. მოხდა ნოქართა კრება. წარუდგინეს მოთხოვნანი ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების შესახებ და ამოირჩიეს კომისია ადებთან მოსალაპარაკებლად.

ბერლინი შაბათს გაიხსნება გერმანიის სტუდენტთა წარმომადგენლების სიეზდი. ამ სიეზდმა უნდა შეიმუშაოს მუდმივ ორგანიზაციისა და უნივერსიტეტის თავისუფლების დამცველი პროექტი.

ბაქო. მშობლებისა და პედაგოგების რჩევამ გადასწყვიტა განახლდეს მეცადინეობა დღეს, [illegible]დურეს შემთხვევაში —1 მარტს.

ტვერი, 22 თებერვალი: ვიღაციდან ამოიღეს [illegible]ი ბოხჩა გაუგზავნელ შტემპელიან წერილებისა. ეს წერილები ეკუთვნის ტვერის კანტორას იანვრის პირველ ნახევრიდან. გამოძიება სწარმოებს.

ჟურნალ-გაზეთებიდან

დიდი ბრძოლა მუკდენთან. 22 თებერვალს საღამოთი და 23 თებერვალს დილით მიღებულ იაპონურ ოფიციალურ დეპეშებიდან სჩანს, რომ 20 და 21 თებერვალს დიდი ბრძოლა ყოფილა ყველგან მთელ ფრონტზე. გენ. ნოგის არმია დასავლეთიდან მიდის მუკდენისაკენ და რკალივით ერტყმის მუკდენს. გენ. ოკუს არმია მაღიაპუს ქვემოდან მდ. ხუნხესა და რკინის გზის შუა სიმაგრეებს იჭერს, რუსებს რამდენიმე დიდ საალყე ზარბაზანსა და ტყვიის მტყორცნელს ართმევს და რკინის გზის სადგურს სუიატუნს (მუკდენის სამხრეთით) ცეცხლს უკიდებს. იაპონელები ცენტრშიაც რამდენსამე სიმაგრეს იჭერენ. მარჯვენა ფრთაზე გენ. კუროკი თანდათან უკან ახევინებს რუსებს. ჯერ ბრძოლა არ გათავებულა, მაგრამ იაპონელები ამბობენ, ჩვენი საქმე კარგად მიდისო. გენ. კუროპატკინის დეპეშიდან კი ისე გამოდის, თითქო ბრძოლა რუსების სასარგებლოდ მიდიოდეს; რუსის მთავარ-სარდალი იუწყება, იაპონელების იერიში ყველგან მოვიგერიეთ, პუტილოვის გორასთან 100-მდე კაცი დავატყვევეთ და 2 ტყვიის მტყორცნელი წავართვით, იაპონელებს დიდი ზარალი მოსდითო. იაპონელები კი იუწყებიან, დიდი ზარალი რუსებს მოსდითო. ამ ცნობას რუსის კორესპონდენტებიც ჰმოწმობენ.

„რუსკოე სლოვო“-ს კორესპონდენტი ბ. ლოდიჟენსკი 16 თებერვალს დეპეშით იუწყება მუკდენიდან: 14 თებერვალს სადგურ შახესთან რუსის რაზმმა ხიდის ბოლო დაიჭირა, მაგრამ იაპონელებმა ისევ უკან გამოდევნეს. რუსებს 3 აფიცერი და 350 სალდათი მოუკლეს და დაუჭრეს ამ ბრძოლის დროს... ხმა დადის, მარცხენა ფრთიდან ათასზე მეტს დაჭრილს მოიყვანენო... მარჯვენა ფრთაზე იაპონელებმა მე-4 მსროლელთა პოლკის მოწინავე როტა სანგრებიდან გასდევნეს: როტიდან მხოლოდ ერთი პატარა რაზმი-ღა გადარჩა.

იმავ გაზეთის კორესპონდენტი ბაგარინი სწერს: 17 თებერვალს მუკდენში მარჯვენა ფრთიდან ორი მატარებლით მოიყვანეს დაჭრილებიო.

„რუს“-ის კორესპონდენტი კრასნოვი დეპეშით იუწყება მუკდენიდან: 14 თებერვალს სადგურს შახესთან რუსებს 70 კაცამდე მოუკლესო. რუსებმა სანგრებში ერთი იაპონელი დაატყვევეს. ტყვეს ორი უნტერ-აფიცერი გაჰყვა. გზაში ორივე უნტერ-აფიცერი მოჰკლეს, იაპონელი გაიქცა, მაგრამ შახეზე ყინულზე რომ გადადიოდა, რუსებმა მოჰკლესო.

მარშალი ოიამა იუწყება: 11 თებერვალს ცინხენჩენთან ბრძოლის შემდეგ რუსები გაიქცნენო. („მ. ვ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება სოფ. მაძიადანიდან (მაძიადანი ფუშუნის გზაზეა): დალინის უღელტეხილიდან 12 ვერსტზე ჩრდილოეთით სოფ. სოლუნიისთან ტრამვაის გზა იწყება: რკინის რელსებია დაგებული, ვაგონები ცხენებს დააქვთ. ტრამვაი ჩრდილოეთისაკენ მიდის სინგალინის უღელტეხილამდე, სოლუნიიდან ტიუმინტაიმდე 11 ვერსტია, აქედან სოფ. მაძიადანამდე კიდევ სამი ვერსტია. სოფ. უბე[illegible]რეობს. უბენეპუზადან გზა მიდის სინგალინის უღელტეხილისაკენაო. მაშასადამე სოფ. უბენეპუზაც ფუშუნის გზაზეა, ფუშუნიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით. ამ ადგილას რუსის განაპირა მარცხენა რაზმი მოქმედობს და გენ. კუროკის განაპირა მარჯვენა რაზმს ებრძვის.

„ბირჟევია ვედომოსტი“-ს 17 თებერვალს დეპეშით ატყობინებენ მუკდენიდან: ჩვენმა ცინხეჩენის რაზმმა უკანასკნელ დღეებში 30 ვერსტამდე დაიხია უკან; იაპონელებმა ცინხეჩენი, დალინის უღელტეხილი და სოლუნი დაიჭირეს... სარწმუნოდ გავიგეთ, რომ იაპონელები ინპანისაკენაც გაემართნენ, უნდოდათ რუსის ჯარისათვის გვერდიდან შემოევლოთ, მაგრამ შეაყენეს. იაპონელები სწორედ გვაკვირვებენ თავიანთ გულადობით; რუსების სროლას ყურადღებას არ აქცევენ და მარდად ადიან გორებზე. ამ დღეებში პოზიციებზე იაპონელები უყვიროდნენ რუსებს: „გვიფრთხილდით, ჩვენ პორტ-არტურიდანა ვართ, მალე გაგრეკავთ აქედანაო!“,

ომის ამბები. „ბირჟევია ვედომოსტი“ იუწყება: პეტერბურგში რუსეთის უმაღლეს სამხედრო წრეებში ბეჯითად ლაპარაკობენ, 20 თებერვალს [illegible] დიდ თათბირს მოახდ[illegible]დების ვითარებაზე მ[illegible] თათბირში რუსის გამ[illegible]ტორიტეტებს მოიწვევენო.

„რუსკოე სლოვო“ იუწყება: გენერალ-ადიუტანტი დრაგომიროვი 17 თებერვალს საგანგებო მატარებლით მოსკოვს მოვიდა და საგანგებო მატარებლითვე პეტერბურგს გაემართაო. ალბად, გენ. დრაგომიროვიც დაესწრება ხსენებულ სამხედრო თათბირს.

„ტაიმს“-ს ატყობინებენ პეტერბურგიდან: მანჯურიაში ჯარის გაგზავნა ძლიერ დაგვიანდა ზამთარში. ოდესიდან ორის თვის წინად მე-4 მსროლელთა ბრიგადა წავიდა მანჯურიაში და დღემდე ომსკს ახლო იმყოფება. ერთის თვის წინად მინსკიდან გაგზავნილი მე-4 კორპუსიც ჯერ ისევ გზაშია. შარშან დამზადებული მე-3 მსროლელთა ბრიგადაც მხოლოდ ეხლა გადის კიევიდან. კავკასიის ჯარის უმეტესობაც გაიგზავნება ომში. კავკასიიდან ერევნისა და კავკასიის ცხენოსანი დივიზიები წავლენ; სულ გაიგზავნება 18 ათასი ქვეითა სალდათი, 7 ათასი ცხენოსანი ჯარის კაცი და 48 ზარბაზანი. ეს მაშველი ჯარი მანჯურიაში აპრილზე ადრე ვერ წავა. („ზ“.).

იმ ცნობამ, რომ იაპონელები მუკდენს მიუახლოვდნენო, მთელი პეტერბურგი აალაპარაკა. („ო. ნ.“).

„კენიგსბერგიშე ცაიტუნგ“-ი იუწყება, რუსეთის ბანკის მმართველს მუკდენში ბძანება მოუვიდა, თადარიგი დაიჭირეთ და ბანკის დასაკეტად მოემზადენითო. („ს.“).

ინგლისელ ადმირალების აზრი იაპონიისა და რუსის ფლოტის მომავალ ბრძოლაზე. ინგლისურ ჟურნალ „ფორნაიტლი რევიუ“-ს თანამშრომელს ინგლისელ ადმირალებთან უსაუბრნია მომავალ საზღვაო ბრძოლაზე. ადმირალ ფრიმენტელს უთქვამს: ჩემის აზრით, იაპონიის ნაღმიანი გემები და უმთავრესად წყალ-ქვეშ მავალი ნავები სადმე ჩუმად დაეცემიან რუსის ესკადრას და საუკეთესო გემებს ააფეთქებენ, ისე როგორც პორტ-არტურთან. აფეთქებული გემები სამუდამოდ დაიღუპება (რადგან ინდოეთის ოკეანეში იმათი შეკეთება შეუძლებელი იქნება). პირდაპირ, გულდაგულ ბრძოლაში-კი ორსავე ესკადრას თითქმის თანასწორი შანსი აქვთ გამარჯვებისა, რადგან ორსავეს [illegible] თანასწორი ძალა აქვთ. ხმა დადის, რუსის ესკადრას ახალი ჯავშნიანი გემებიც მოემატაო. ადმ. როჟესტვენსკიც იშვიათი ნიჭის პატრონი კაციაო.

ადმირალ გოპკინსს უთქვამს: რუსის ესკადრა ან უნდა დაიღუპოს, ან შორეულ აღმოსავლეთისაკენ გზა გაიკაფოს, რადგან რუსის ხმელეთის ჯარი, ფლოტის დაუხმარებლად, ვერას გახდება იაპონელებთან. თუ ბრძოლა ზონდის არხიპელაგში მოხდა, იაპონელები გაიმარჯვებენ, და თუ რუსებმა როგორმე ვლადივოსტოკამდე მისვლა მოახერხეს, მაშინ იმათი ფლოტი გადარჩება და ომის საქმე სულ სხვანაირად დატრიალდებაო...

ადმირალ მონტელს უფრო გადაჭრით, გაბედვით ულაპარაკნია: რუსებს არავითარი იმედი არ უნდა ჰქონდეთ გამარჯვებისა. რუსებს ჯავშნიანი გემები, კრეისერები და სხვა გემები ჰყავთ, მკვდარი მასალა აქვთ, მაგრამ ცოცხალი ხალხი, მეზღვაურები არა ჰყავთ, თაოსნობაც არა აქვთ. ერთმა წელიწადმა ომმა დაამტკიცა ესა. რუსის ფლოტის უფროსები კარგი ტაქტიკები და მოხელეები არიან, მაგრამ უვარგისი ადმირალები და ფლოტის წინამძღოლები. საით წავა რუსის ესკადრა კუნძულ მადაგასკარიდან? რასაკვირველია, ზონდის არხიპელაგისაკენ, მაგრამ მიაღწევს თუ არა იქამდე, ეს არავინ იცის. ადმ. როჟესტვენსკის ადგილას რომ ვიყო, სხვა გზით წავიდოდი. ინდოეთის ოკეანეში იაპონელები ადვილად იპოვნიან რუსებს. ფლოტი ნემსი არაა და ოკეანესაც საზღვარი აქვს. უეჭველია, იაპონელები დღეს-ხვალ დაეცემიან რუსებს, გემებს ააფეთქებენ და რუსის ფლოტი ისევ უსახელოდ დაიღუპება. იაპონელებმა რამდენიმე სატრანსპორტო გემი გაგზავნეს წყალ-ქვეშ მავალ ნავებით ესკადრის ასაფეთქებლად. ასე რომ რუსისა და იაპონიის ფლოტს ბრძოლაც არ დასჭირდებათ. დაახლოვებით ვიცი, სად დგას ამ ჟამად ორივე ესკადრა და რა ძალა აქვთ ორსავესაო. („რ.“).

საკვირველი ცვლილება

ვინც მეტს შორს-მჭვრეტელობას გამოიჩენს და მარდად მიჰხვდება, რა ფანდს უგდებს მას მოწინააღმდეგე, გამარჯვებაც იმასა ჰრჩება. პირიქით, ვინც, ცალმხრივობით გატაცებული, დროზე ვერ შეიგნებს მოპირდაპირის განზრახვას და დროზე არ მიიღებს საჭირო ღონისძიებას, დამარცხებაც იმისი ხვედრი იქნება. განსაკუთრებით დიდი, თითქმის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს შორს მჭვრეტელობას იმ ბრძოლაში, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრების მოედანზე სჩნდება ხოლმე ძველის წესებისა და ახალ მისწრაფებათა შუა. ვიდრე ბრძოლას საზოგადოებრივობის მოედანზე ფიზიკური ხასიათი არა აქვს მიღებული, ვიდრე იგი, უსიტყვო და ფარულის შეთანხმებით მოპირდაპირე ძალთა შორის, ჯერ პსიხიკის ფარგალს არ გასცილებია, მოწინააღმდეგენი გადამეტებულის გულისყურით უნდა ეპყრობოდნენ ყოველს ნაბიჯს, ყოველს აქტს, რომელიც პსიხიურ მთლიანობის ანუ საზოგადოებრივ აზრის სოლიდარობას ემუქრება და იმის დაქუცმაცებას ჰლამობს...

რუსეთის იმპერიის მკვიდრთა საზოგადოებრივ აზროვნების ისტორიაში არ მოიპოვება არც ერთი ისეთი მომენტი, რომელიც შეიძლებოდეს გვერდში ამოუყენოთ დღევანდელს ერთსულოვანებას და ერთაზროვანებას, გარდა 1812 წლის საყოველთაო სურვილისა, რომელიც შემთხვევით იყო გამოწვეული მტრის შემოჭრით რუსეთის შუაგულში და არავითარი კავშირი არა ჰქონდა საზოგადოებრივობის ფორმებთან და ურთიერთობის წესის განახლებასთან. ის ძალა, რომელიც 17 თებერვლის უმაღლესის მანიფესტის სიტყვით წარსულთან კავშირის მოსპობას აპირობს, დღეს საზოგადოებრივ აზრის სოლიდარობაა. ამ ეთიკურს, ზნეობრივს ძალას არც დარაზმული, თოფ-იარაღში გამოწყობილი ჯარის-კაცები შეადგენენ, არც ახალ-ახალ სისტემის უშველებელი ზარბაზნები, იგი სულიერი ძალაა, რომლის მთავარს სიმაგრესაც მთელის რუსეთის ხალხის სოლიდარობა, ერთაზროვანება და ერთსულოვანება შეადგენს. ძველის წესის დამცველებმა კარგად იციან, რომ ეს ხელთუქმნელი ციხე ვერ შეირყევა ვერც მათრახით, ვერც თოფით, ვერც ზარბაზნით და ვერც დინამიტით; კარგად იციან, რომ ყოველი ცდა ფიზიკურის ძალით ამ ციხის დანგრევისა არა თუ უნაყოფო იქნება, პირიქით, უფრო განამტკიცებს და გაამაგრებს იმას, და ამიტომ ბიუროკრატია თავის მიზნის ასასრულებლად იძულებულია ისეთს საშუალებას მიჰმართოს, რომელიც დაჰქსაქსავს საზოგადოებრივს აზრს, დაანაწილებს იმას, გამოაცლის ნიადაგს საყოველთაოდ გადაქცეულს ფორმულებს და ამნაირად ერთის მისწრაფებით შედუღებულს რუსეთის აზრს რამდენსამე ნაწილად გაჰყოფს, ე. ი. დაარღვევს სოლიდარობას და დაამხობს მიუვალს და ხელთუქმნელს ციხეს.

ამ დღეებში გავრცელდა ხმა, რომელიც საკმაოდ სარწმუნო წყაროებიდან მომდინარეობს, რომ კავკასიაში ნამესტნიკობის შემოღება გადაწყდა. ჩვენ, ქართველებს, გვესმის, დიახ საუკეთესოდ გვესმის, რომ კავკასიელ მკვიდრთა ცხოვრება მრავალმხრივ თვალსაჩინოდ განსხვავდება რუსეთის შიდა გუბერნიების ცხოვრებისაგან და ამიტომ განცალკევება კავკასიის მართვა-გამგეობისა რუსეთის სხვა ნაწილებისაგან თავის თავად ჩვენს თვალში ეხლანდელს ცენტრალისტურს სისტემას ბევრით სჯობია. მაგრამ ეს მხოლოდ საქმის ერთი მხარეა და დღევანდელი ბიუროკრატია ნამესტნიკობას კავკასიისთვის სრულიად დეცენტრალიზაციის პრინციპის გასაყვანად არა ჰფიქრობს.

როდესაც აქ, ადგილობრივ, კავკასიის მთავრობის უმაღლესი და განუსაზღვრელის უფლებებით აღჭურვილი წარმომადგენელი ეყოლება, ადვილად წარმოსადგენია, რომ კავკასიის დღევანდელი მტკიცე მოძრაობა თავის მოთხოვნას აქვე წარუდგენს უმაღლესს მთავრობას და თვალიდან დაჰკარგავს როგორც პეტერბურგს, აგრეთვე რუსეთის საზოგადოებას, მოისპობა სულიერი კავშირი ჩვენებურის მოძრაობისა რუსეთის შიდა გუბერნიების მოძრაობასთან, დაირღვევა ერთსულოვანობა, შეირყევა სოლიდარობა და, თუ სულ არა, მაინც თვალსაჩინოდ გამოეთხრება ძირი დღევანდელის მდგომარეობის ხელთუქმნელს ბურჯს და სიმაგრეს.

საქართველოში რუსეთის ჯარის პირველად შემოსვლის დღიდან აქამდე პეტერბურგის უმაღლესი ბიუროკრატია სისტემატიურად სცდილობდა ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ხალხის ზნე-ჩვეულება, ჩვენის ცხოვრების წესი და რიგი გაეთანასწორებინა შიდა გუბერნიებთან. ეს დღემდე საჭიროდ მიაჩნდათ გარუსების პოლიტიკისათვის და კავკასიის მკვიდრთა გუნებაში იმ აზრის ჩასანერგავად, რომ კავკასია იგივე რუსეთია, რაც ყველა სხვა გუბერნია, არც მეტი და არც ნაკლებიო. ამ სისტემით ზოგიერთი განსხვავება და განკერძოვებული ხასიათი კავკასიის მართვა-გამგებლობისა, ჩვენებურ ხალხისათვის ისეთ დაწესებულებათა მიუნიჭებლობა უნდა ყოფილიყო, რომლებიც ხალხს შეეძლო ეროვნულ განვითარებისათვის გამოეყენებინა: თვით-მმართველობა, ამორჩეული მოსამართლე და სხვა. თუ გნებავთ, ამ სისტემამ ასის წლის განმავლობაში შეუჩერებელის მოქმედებით რამდენადმე მიაღწია მიზანს. ბიუროკრატიული ოპეკა ჩვენთვის, ქართველებისათვის, ნაკლები სიმძიმის უღელი არ არის, ვიდრე რუსებისათვის; შიდა გუბერნიებზე ნაკლებ კი არა, პირიქით, უმეტესად და უძლიერესად ვგრძნობთ დღევანდელის მმართველობის სისტემის შეუფერებლობას. ჩვენ გავუთანასწორდით, დავუახლოვდით რუსეთის გუბერნიებს, მაგრამ იმით კი არა, რომ გავრუსდით, არამედ იმით, რომ დღეს მთელს რუსეთთან ერთად უკმაყოფილონი ვართ ბიუროკრატიულის წესწყობილებით. ჩვენის საზოგადოებრივის აზ-

ფელეტონი

საჭირბოროტო საკითხები

დღეს ყველა ბიუროკრატიულ წეს-წყობილების უვარგისობაზე ლაპარაკობს, ყველა დარწმუნდა, რომ ბიუროკრატიამ, კარგა ხანია, თავისი დრო მოსჭამა და ადგილი უნდა დაუთმოს თვით-მმართველობას.

რატომ ვერ აკმაყოფილებს ბიუროკრატია ხალხის მოთხოვნილებას? იმიტომ, რომ ხალხსა და ბიუროკრატიას შორის საშინელი უფსკრულია გავლებული. მმართველნი ხალხისაგან არ არიან არჩეულნი. იმათ ხალხის საჭიროება არ ესმით და არც უნდათ გაიგონ. მმართველად, „ჩინოვნიკად“, ის კი არ ინიშნება, ვისაც უფრო გული სტკივა ხალხისათვის, არამედ ის, ვისაც „ნაცნობობა“ აქვს გავლენიან პირებთან. გრიბოედოვის „ფამუსოვის“ ტიპი დღესაც ცოცხალია. დიდ-მოხელეთა შორის ნაცნობები და ნათესავები ერთმანეთს ეხმარებიან, ერთმანეთს მფარველობენ. თუ რომელსამე მოხელეს ზურგი გამაგრებული აქვს ამგვარ მფარველობით, იმას არაფრისა აღარ ეშინიან, შეუძლიან ფეხ-ქვეშ თელოს თავისი უმცროსები და საზოგადოდ ყველა, ვის ბედზე ზრუნვაც მინდობილი აქვს, ვინაიდან იცის, რომ პასუხს არავინ მოსთხოვს.

ბიუროკრატიული ორგანიზაცია იმიტომ არის გამოუსადეგარი, რომ „მოხელე“, „ჩინოვნიკი“, არ არის პასუხის-მგებელი თავის მოქმედებისათვის საზოგადოების წინაშე. უმცროსი მოხელე აძლევს პასუხს მხოლოდ უფროს მოხელეს წინაშე. მოხელის გადაყენება, დათხოვნა სამსახურიდან შეუძლიან მხოლოდ უფროს მოხელეს. ამიტომ მოხელე იმას კი არ სცდილობს, რომ საზოგადოებას, ხალხს ემსახუროს, არამედ თავისს უფროსის გული მოიგოს.

უმცროსი მოხელე ნამდვილი მონაა უფროსისა. „მისი მაღალ-კეთილშობილება“ ელაპარაკება მის „აღმატებულებას“, როგორც მონა, ხმის კანკალით, მთელის სხეულის ცახცახით, ყოველთვის მზადაა ფეხ-ქვეშ გაეგოს, ყველაფერი აასრულოს. „ჩინოვნიკის“ ადამიანური თავმოყვარეობა, ღირსება შელახულია. იგი თავის დღეში ვერ გაუბედავს უთხრას უფროსს თავისი გულის-პასუხი, მოკალე, დაფაროს ჭეშმარიტი მდგომარეობა საქმისა და ყოველთვის მოახსენოს: „ყოველივე კარგად არის მოწყობილი, თქვენო აღმატებულებაო“ (все обстоитъ благополучно).

ამგვარ ზნე-დაცემულ მოხელის ხელში, ცხადია, კარგი არაფერი გაკეთდებოდა. და ახლა ყველაფერი დამტკიცდა, ყოველ-გვარმა უსამართლობამ და მოუწყობლობამ იჩინა თავი. რადგან პრესსას მცირეოდენი თავისუფლება მიენიჭა, ნათელი მოეფინა ბნელეთს, საოცარი და საზარელი ამბები გამოაშკარავდა. პოლიციას, რომლის ხელშიაც იყო და არის ახლაც საზოგადოებისა და ხალხის სვე-ბედი, საზარელი მსახურნი ჰყოლია. გაზეთები ყოველ-დღე მოგვითხრობენ პოლიციელთაგან ჩადენილ შემძრწუნებელ საქმეების ამბებს. თუმცა მათს მოქმედებას ფარდა აეხადა, საჯაროდ ჰკიცხავენ, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, ჩვეულება რჯულზე უმტკიცესიაო: იგინი კვლავ განაგრძობენ თავის შავ-ბნელ მოღვაწეობას.

ბიუროკრატიული ორგანიზაცია კიბეა, რომლის ზედა-საფეხურები თავს დასწოლიან ქვედა საფეხურებს. ყოველი მოხელე, რამდენადაც ემონება და ემორჩილება თავის უფროსს, იმდენადვე სჩაგრავს და სთელავს ფეხით თავის უმცროსს. მოხელე ერთსა და იმავე დროს ბატონიც არის და მონაც, დესპოტიც და პირმოთნე მლიქვნელიც, ულმობელიც და ლმობიერიც, ამაყიც და თავ-მდაბალიც.

ასეთია შინაგანი წყობილება ბიუროკრატიისა. როგორი-ღაა მისი განწყობილება ხალხთან? ეს ადვილი გასაგებია. ბიუროკრატიას ხალხთან საერთო არა აქვს-რა. იგი და ხალხი ერთმანეთის მოპირის-პირენი არიან. ბიუროკრატია არის ხავსი ხალხისა, ხალხის სისხლის შემსმელი, ხალხის კეთილ-დღეობის განმანადგურებელი, იგი მხოლოდ თავისთვის ზრუნავს, ხალხისთვის მას არა სცალია. როგორც უმცროსი მოხელე მონაა უფროსისა, ისე ხალხი მონაა ბიუროკრატიისა. ამიტომ ბიუროკრატიამ ხალხს ყოველგვარი უფლება წაართვა. ხალხს არა აქვს ის უფლება, რომელიც პირუტყვებსაც კი აქვთ, ე. ი. იზრუნოს თავის-თავისათვის, თვითონ განაგოს საკუთარი საქმეები. ხალხის ცდა ამ უფლების მოპოებისათვის აღიარებულია, როგორც უდიდესი დანაშაულობა, როგორც შეურაცხ-ყოფა მთავრობისა. ხალხს ენა აქვს დაბმული, არის გადაქცეული პირუტყვად რომ არა სთქვას-რა თავის სასარგებლოდ, თავის ადამიანურ ღირსების მოსაპოვებლად. ცენზურა, მწერლობის შემავიწროებელი კანონები, აღკრძალვა საჯაროდ სიტყვის თქმისა, და, ასე გასინჯეთ, საჯარო სამეცნიერო ლექციების წაკითხვისაც კი, ყოველივე ეს ნაყოფია ბიუროკრატიულ წეს-წყობილებისა, მთავარი იარაღი ბიუროკრატიისა ხალხის დასამონებლად. თავისუფალი სიტყვის მთქმელი ქვეყნის ორგულად და მოღალატედ არის გამოცხადებული, და ენა დადუმებული მუნჯი მონა—კეთილ საიმედო პირად. ქვეყნის უკეთესნი შვილნი, ვითარცა არა-კეთილ-საიმედონი, საპყრობილეებსა და შორეულ ადგილებში იტანჯებიან. გრძნობა კაცთმოყვარეობისა ბიუროკრატიას სრულიად არ მოეპოვება და მის საშინელ კლანჭებისაგან ვერ იფარავს თავს ვერც ერთი პატიოსანი კაცი. ქვეყანა ივსება დედათა ცრემლითა და მწუხარებით და შვილთა ტანჯვითა და კვნესით.

სრულიად სხვა არის პრინციპი თვით-მმართველობისა, ავტონომიისა. ხალხი თვითონ უნდა იყოს თავისი თავის პატრონი, თვითონ უნდა ზრუნავდეს თავის თავზე, თვითონ უნდა განაგებდეს თავის საქმეებს. სხვა პატრონი და გამდელი მას არ ეჭირვება. მთავრობა და გამგებლები ხალხის მიერ უნდა იყვნენ არჩეულნი. ხალხს უნდა ჰქონდეს ნება გადააყენოს ის არჩეული პირი, რომელიც ნდობას ბოროტად გამოიყენებს, იმედს ვერ გაამართლებს. მხოლოდ ხალხის წარმომადგენლებმა უნდა გამოსცენ ყველასთვის სავალდებულო კანონები. მხოლოდ ამ პირობებშია შესაძლებელი ხალხის წინ-სვლა ბედნიერების გზაზედ.

თვით-მმართველობას თავისი შესაფერი ნაყოფი მოაქვს. სადაც თვით-მმართველობაა, იქ კაცი თავისუფალია, თამამი, გამბედავი, თავგანწირული მებრძოლი თავის რწმენისათვის. თავისუფლება მისთვის აგრეთვე აუცილებლად საჭიროა, როგორც ჰაერი. ამასთანავე იგი პატივსა სცემს სხვის აზრსა და პიროვნებას, ებრალება სუსტი და გაჭირვებული, უყვარს მოძმე და სძულს მტარვალი, მჩაგვრელი ადამიანისა. მელა-კუდობას, მონურად ქედის მოხრას, საზიზღარ ფლიდობას და ორპირობას ადგილი არა აქვს თავისუფალთა საზოგადოებაში. თავისუფალ კაცს უყვარს თავისუფალი სიტყვა, კრიტიკა, და ეჯავრება ყოველ გვარი ბორკილი. თავისუფლება სიტყვისა, ბეჭდვისა, კრებისა, ამხანაგობისა, ყოველივე ეს ბუნებრივი შედეგია თვით-მმართველობისა.

მხოლოდ თვით-მმართველ საზოგადოებას შეუძლიან განავითაროს მეცნიერება და ხელოვნება. პირველად იმიტომ, რომ ამ გვარ საზოგადოებაში უკეთ არის დაკმაყოფილებული უსაჭიროესი ქონებრივი მოთხოვნილებანი თვი ული კაცისა. მეორე, ამ გვარ საზოგადოებ უფრო გავრცელებულია სწავლა, მაშასადამე, ტი წილი საზოგადოებისა იღებს მონაწილ ობას მეცნიერებისა და ხელოვნების განვი რებაში. მესამე, მხოლოდ დამოუკიდებელ, ვისუფალ სულის პატრონს შეუძლიან ჰქონდ თამამი მსჯელობა, უშიშარი კრიტიკა, აუც ლებლად საჭირო მეცნიერებასა და ხელოვნ ბაში. მხოლოდ თავისუფალი საზოგადოება შეაჩერებს მსვლელობას პროგრესი ეს ადვილად გასაგებია. როდესაც ა ჩაგრულია, მონა, მას სრულიად აქვს მხნეობა, ხალისი მუშაობისა. მუშაობა თავისუფალი თამაშია გონ

რის უარ-ყოფითი მისწრაფება იგივეა, რაც მთელს რუსეთში; გარუსების პოლიტიკამ ამნაირად რუსეთთან ჩვენ სწორედ იმ მხრივ შეგვაერთა, სწორედ ისეთი კავშირი დაგვადებინა, რომელიც სრულიად არ ესიამოვნება ბიუროკრატიას და რომელსაც იგი სრულიად არ მოელოდდა. თუ ბიუროკრატიის უარ-ყოფა გამოჰხატავს რუსულს ხასიათს, ამ აზრით და მხოლოდ ამ აზრით, ჩვენ დღეს გარუსებული ვართ... სანთელსაკმელი გზას არ დაჰკარგავსო: რაც ბიუროკრატიამ დათესა ჩვენში ამ ასის წლის განმავლობაში, დღეს იმასვე იმკის. ბოროტად განზრახულმა გარუსების სისტემამ თანდა-თანობითის განვითარებით იმ ძლიერ მდინარედ გადააქცია საქართველოს მკვიდრთა საზოგადოებრივი აზრი, რომელიც დღეს რუსეთის საზოგადოებრივ აზრთან შეკავშირებული ბიუროკრატიის მეცადინეობითვე სტიქიას წარმოადგენს, ისეთს სტიქიას, რომელიც შიშის ზარსა სცემს ძველის წესის მომხრეებს.

დღევანდელს პირობებში რუსეთის ბიუროკრატია ნათლად ჰხედავს, რა სახიფათო კავშირი შეჰქმნა იმისმა გარუსების პოლიტიკამ ჩვენსა და შიდა გუბერნიების მკვიდრთა შორის, ჰხედავს, რომ ეს კავშირი სრულიად იმ სახისა და შინაარსისა არ გამოდგა, როგორიც იმას ესიამოვნებოდა, და... სცდილობს დაარღვიოს იგი, მაგრამ ისე კი, რომ გარუსების პოლიტიკა და ბიუროკრატიული ოპეკა კულანდებურად ძალაში დარჩნენ. გაჭირვებული ხავსს ეკიდებოდაო. ეხლა სახელებისა და ადგილების გამოცვლა ველარას გააწყობს, ან მთლად უნდა შეიცვალოს კავკასიის ცხოვრების წესრიგი, ან ბიუროკრატიამ ერთად უნდა გაუწიოს ანგარიში ჩვენსა და რუსეთის უკმაყოფილებას. ნახევრად იქით და ნახევრად აქეთ მიწევ-მოწევა არ იქმნება. ჩვენი თვითცნობიერება უკვე საკმაოდ მომწიფდა, ჩვენი გაბმა ახალს მახეში უიმედობის ნუგეშია, გვეყო, რაც დღემდე ვიცრუეთ ძალდატანებით და თვალთმაქცურად, ეხლა პირდაპირ გვსურს ვუყუროთ სინამდვილეს. **გ. რ.**

გურიის ამბები *)

საზოგადო ცნობები

დღევანდელი მოძრაობა გურიაში დაიბადა პირდა-პირ ეკონომიურ ნიადაგზე, რასაც ნათლად გვიმტკიცებს მოძრაობის მოკლე ისტორიული განხილვა: მიწის სიცოტავე, დიდი იჯარის ფასი, მძიმე გადასახადები, დრამის ფული—აი რაზე აღორძინდა უკმაყოფილება. მოძრაობა დაიწყო მოუსავლობის დროს და უპირველესად იმ ადგილებში, სადაც ხალხი ყველაზე უფრო გაჭირვებული იყო. მეტად მოუსავლიანი იყო 1901—1902 წლები. ქცევა ძლივს იძლეოდა 10—15 ფუთ სიმინდს, მაშინ როდესაც ჩვეულებრივი ქცევა იძლევა 40—60 ფუთს. მოუსავლობას სრულიად არ მიაქციეს ყურადღება და გლეხებისაგან თხოულობდნენ წინანდელ დალას. გლეხი იძულებული იყო საკუთარის ადგილის შემოსავლისაგან ან ფულით დაეკმაყოფილებინა მემამულე და ვინც არ გადაიხადა დალა, იმას დაუყოვნებლივ დავა აუტეხეს სასამართლოში საზოგადოდ გურიაში იჯარა მეტად შემავიწროვებელია გლეხისათვის.

არსებობდა ორ-ნაირი სისტემა იჯარისა: ზოგიერთ ადგილებში მიწა იცემოდა 12—25 ფუთ სიმინდამდე სადალოთ, იმისდა მიხედვით, თუ სად როგორი მოსავალია; მოსავლიან წლებში შეიძლება რამე კიდევ დარჩენოდა გლეხს, მაგრამ მოუსავლიან წელს იგი მთლად ხელ-ცარიელი რჩებოდა და ხშირად თავისასაც აძლევდა. მეორე სისტემა იყო შეფასების სისტემა, ე. ი. მემამულის მოურავები ჩამოუვლიან ყანებს და რასაც დაადგენენ, გლეხმა ის უნდა გადაიხადოს. ამავე დროს საჭირო იყო მოურავის მოქრთამვა, თორემ ისე გლეხს ორი წილი გადახდებოდა; გარდა იჯარის ფასისა, არსებობდა გადასახადი საძოვარ ადგილებისათვის, და ეგრედ წოდებული „სადეკრობო". „სადეკრობო" პირველად დაწესდა ახალ, უკ მიწაზე, მაგრამ მერე დარჩა ყველა მიწაზე. ამისათვის იხდიდა ცალკე გადასახადს ყოველ ქცევაზე. მერე კი „სადეკრობო" სრულიად უსამართლო შეიქმნა, რადგან ყველა ადგილი გაიკაფა.

მოძრაობა დაიწყო ერთსა და იმავე დროს 1902 წ.: ს. ხიდისთავსა, ნიგოითსა, ჩოჩხათისა და გურიანთის სოფლებში. ხიდისთავში ყველაზე უფრო გაჭირვებულია გლეხობა მიწის სივიწროვით. სოფლელები ისე მჭიდროდ არიან დასახლებულნი, რომ ხიდისთავი ქალაქს მოაგონებს კაცს, ერთ ქცევაზე 4 მოსახლე სახლობს. აქ ქცევა ადგილი 600—800 მანეთამდე ღირს. მამაკაცები თითქმის ყველანი გარედ არიან გასულნი საშოვარზე. ვინც სახლში რჩება, ის თავს უმთავრესად იმით ირჩენს, რომ სხვა-და-სხვა ხელობას მისდევს. საიჯარო მიწებიც ძლიერ ცოტაა ხიდისთავის მიდამოებში და გლეხები იძულებულნი არიან, შორს წავიდნენ მიწის ასაღებად 10—20 ვერსტამდე. გლეხებს არა ჰყოფნით მოსავალი და ყიდულობენ სიმინდს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ პირდაპირ მწარმოებლისაგან ვერ ყიდულობენ სიმინდს და სხვა-და-სხვა ჩარჩებს უვარდებიან ხელში.

ნიგოითში გლეხს ორი ქცევა თუ აქვს, მეტი არა. ადგილების მეტი ნაწილი ეკუთვნის მემამულეებს, რომელთაც თავისი მამულები 1895 წ. დააგირავეს სახელმწიფო ბანკში, სულ 1200 დესეტინა (230,000 მან.), და ამდენივე ქუთაისის სადგილმამულო ბანკში. ამ გარემოებამ გამოიწვია, რასაკვირველია, იჯარის ფასის მომატება: გლეხს უნდა მიეცა საზრდო მემამულესათვის და გაესტუმრებინა ბანკის ვალიც. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ნიგოითელი გლეხები ძლიერ ჰყავდათ დაბეჩავებული (დალახვრული) მემამულეებს და გლეხებმა უკანასკნელ დრომდის ვერ მოახერხეს დროებით ვალდებულობისაგან განთავისუფლება.

გურიანთელ გლეხების მდგომარეობა უარესდებოდა კიდევ იმით, რომ აქ მემამულეების რიცხვი დიდი იყო და გლეხები უფრო იზაგრებოდნენ. მემამულენი ატყუებდნენ გლეხებს მიწის მიზომის დროს, ატყუებდნენ საწყაოში საიჯარო სიმინდის მიღების დროს. გარდა ამისა მემამულე წინდაწინვე გაჰყიდიდა საიჯარო სიმინდს და გლეხი იძულებული იყო ვაჭრისთვის ჩაეტანა სიმინდი 20—25 ვერსტზე. გურიანთაში მომხდარა ამისთანა ამბავი: მიწა ყანიანად წაიღო წყალმა და მემამულემ პოლიციის შემწეობით მაინც წაიღო საიჯარო ფასი....

ამას ზედ დაერთო უკმაყოფილება მღვდლების წინააღმდეგ, რომლებიც სრულებით არ შედიოდნენ გლეხების მდგომარეობაში და კიდევ მეტს თხოულობდნენ, ვიდრე წინად. გარდა სადრამო ფულისა გლეხს უნდა გადაეხადა ახლა სამარხი—15 მან., ჯვარისწერი—15 მან. ნათვლა, ზიარება და სხ. მღვდელმოქმედება—5 მანეთამდე.

სახელმწიფო გადასახადებმა მოიმატა; განსაკუთრებით მძიმედ დააწვა გლეხს კისერზე სააქციზო გადასახადი: გურიაში იზაბელას ღვინო მოდის მხოლოდ, რომელიც მალე ფუჭდება და ამიტომ გურულები ამ ღვინიდან არაყს ხდიან. ბოლო დროს სააქციზო გადასახადი ისე გადიდდა, რომ გლეხისთვის ყოვლად შეუძლებელი გახდა არაყის გამოხდა.

როგორც ზევით ვთქვით, გურიის გლეხთა დიდი ნაწილი გარედ მიდის სამუშაოდ, უფრო ბათუმს. 1902 წელს ბათუმში გაფიცვა მოხდა და მრავალი მუშა გაიგზავნა სოფლებში. ამან კიდევ უფრო გააძვირა ცხოვრება და გააძლიერა უკმაყოფილება.

ამ ნიადაგზე [illegible] მოძრაობა. რასაკვირველია, შეუძლებელი იყო დღევანდელი მოძრაობა გურიაში, რომ ხალხი არ იყოს გონიერი, ცოცხალი ბუნების და შედარებით დაწინაურებული განათლების მხრივ. 1902 წლის მაისში მაჭუტაძის მოურავმა სოფ. ნიგოითში დაუჭირა გლეხებს საქონელი და მოსთხოვა საბალახო ფული. გლეხებმა უარი უთხრეს და საქონელიც გაუშვებინეს. მემამულემ მიჰმართა პოლიციას, რომელმაც დაიჭირა რამდენიმე კაცი, როგორც მეთაურნი „ამბოხებისა". ამ ამბავმა ძლიერ შეაძრწუნა სოფლელები, რომელთაც დაინახეს პოლიციის მოქმედებაში მემამულის დაცვა და მათი აბუჩად აგდება.

ამავე დროს ზემო დასახელებულის სოფლების გლეხებმა წარუდგინეს მემამულეებს ახალი, გლეხებისათვის შეღავათიანი, საიჯარო პირობები. მემამულეებმა მიჰმართეს პოლიციას, რომელმაც ხელახლა დაატუსაღა ახალი „მეამბოხენი". ქუთაისიდან ჩამოვიდა გუბერნატორი საქმის გამოსაძიებლად, რომელსაც ჩოჩხათის საზოგადოებამ წარუდგინა შემდეგი მოთხოვნილებები: 1) მოისპოს არსებული წესი დალისა, გაიცეს უფრო შეღავათიანის პირობებით, 2) მოისპოს საბალახოზე გადასახადი, 3) მოისპოს არაყზე აქციზი, 4) სასოფლო გზების კეთება და ეკკლესიების დარაჯობა ვალდებულო იყოს ყველა წოდებისათვის, 5) მიწის გამიჯვნის გადასახადები გადახდეს ყველა წოდებას, 6) მოისპოს დრამა—ფული. ამგვარი მოთხოვნილებები წარუდგინეს გლეხებმა სხვაგანაც. მაგრამ გლეხების თხოვნა არავინ განიხილა და ამის მაგიერ დატუსაღებულ იქნენ მათი წარმომადგენელნი.

ამის შემდეგ უფრო და უფრო გაძლიერდა რეპრესიული ზომები გლეხების წინააღმდეგ, ჩაუყენეს ეგზეკუცია. არავინ არ ფიქრობდა მათის ინტერესების და მშვიდობიანად, სამართლიანად საქმის გაკეთებას. გლეხებსა და მემამულეთა შორის უთანხმოება უფრო გამწვავდა, რასაც ხელს უწყობდა პოლიცია. 1903 წელს მთელის გურიის გლეხობა გაიფიცა და არავინ არ აიღო იჯარით თავად-აზნაურობის მიწები. ამის შედეგი იყო უფრო მეტი გაჭირვება და შევიწროვება.

ამ მოძრაობის დროს გლეხებისათვის სრულიად მოისპო სასამართლო, არც ერთი მათი საქმე, არც ერთი შეტაკება მემამულეებთან არ გადაეცა სასამართლოს: ყველაფერს სწყვეტდა და არჩევდა მარტო ადმინისტრაცია. გლეხები უკმაყოფილონი იყვნენ სასამართლოსი, რომელიც სწარმოებდა გაუგებარ ენაზე და უცხო კაცების მიერ, მაგრამ ასეთი სასამართლოც-კი მოისპო მათთვის.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ 1902 წელს ადმინისტრაციის განკარგულებით დაიხურა ყველა ბიბლიოთეკა (12), რადგან წიგნებს და გაზეთებს აბრალებდნენ მოძრაობის აღორძინებას და განვითარებას...

ამგვარად გაიზარდა და გაფართოვდა მოძრაობა, რომელიც პირველად შეიცავდა უბრალო ეკონომიურ მოთხოვნილებებს. მოძრაობის დროს გლეხობას თან და თან დაეკარგა პოლიციის და სასამართლოს პატივისცემა და ნდობა, უარჰყო ერთიც და მეორეც, როგორც გამოუსადეგარი, დაიარსა თავისი სამართალი და გამგებლობა. ამასთანავე წინ წამოაყენა უფრო ფართო ეკონომიური მოთხოვნილებები.

აი, მოკლედ და გაკვრით ის გზა, რომელიც გაიარა გურიის მოძრაობამ. **სიტყვა.**

ოზურგეთი, 20 თებერვალი.

---

*) გურიის ამბებისა და იქაურ მოძრაობის ვრცლად და დაწვრილებით შესასწავლად და საზოგადოებისათვის გასაცნობად, ჩვენმა რედაქციამ გურიაში გაჰგზავნა ორი თავისი თანამშრომელი. დღეს იბეჭდება ერთ თანამშრომლის პირველი წერილი. რედ.

ახალი ამბავი

◆ ამას წინად ვწერდით, რომ **23 იანვარს მომხდარ დემონსტრაციის** დროს დაპატიმრებულთა საქმის გამოძიება მიენდო საგანგებო საქმეთა გამომძიებელს რიბინსკის. დაპატიმრებული იყო სამოც კაცზე მეტი. გამომძიებელმა პასუხის გებაში მიცემისაგან სამის კაცის მეტი ყველანი გაანთავისუფლა. საგუბერნიო ადმინისტრაციამ, თანახმად გაძლიერებულ დაცვის წესებისა, ყველა ამათ ადმინისტრატიულის წესით გადაუწყვიტა სასჯელი—ზოგს ორის კვირით, ზოგს ორის თვით და სხვა.

◆ უმაღლესის ბრძანებით, ამიერ კავკასიის რკინის გზაზე შემოღებულ იქნა **საომარ დროის წესები.** ეს წესები, როგორც ბრძანებაშია ნათქვამი, სავსებით უნდა იქნას შესრულებული. ამ ამბავს გზათა მინისტრი ატყობინებს რკინის გზის უფროსს და ავალებს, აცნობოს გზის მოხელეებს ეს ახალი დებულება და განუმარტოს, რომ თავის ნებით არ გავიდნენ სამსახურიდან ან უარი არა სთქვან, როდესაც სხვა გზაზე იქნებიან გადაყვანილნი. ამიერ-კავკასიის გზიდან შეიძლება მოსამსახურენი გადაიყვანონ გზებზე. სამარა-ზლატოუსტისა, ციმბირისა, ბაიკალისა, იმიერ-ბაიკალისა, უსურიისა და ჩინეთის რკინის გზებზე. აქვე უნდა ვაუწყოთ მკითხველებს, რომ, საომარ დროის წესების თანახმად, რკინის გზის ის მოსამსახურენი, რომელნიც თავის ნებით მუშაობას თავს მიანებებენ ან პატივსადებ მიზეზის დაუსახელებლად დადებულ ვადაზე სამსახურში არ გამოცხადდებიან, დაპატიმრებულ იქნებიან საპყრობილეში ოთხიდან რვა თვემდე.

◆ ამიერ კავკასიის რკინის გზის სხვა მოსამსახურეებსავით, ტფილისის **დეპოს მემანქანეებსა და იმათ თანაშემწეებსაც** წარუდგენიათ გზის მთავრობისათვის მოთხოვნილებანი თავიანთ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ. სხვათა შორის, თხოულობენ ჯამაგირის გადიდებას, სადგომების ქირას, ამხანაგურ სასამართლოს დაწესებას და სხვა.

◆ ტფილისის ოლქის **სასამართლომ მიიღო განსახილველად** საქმე პოლიციის მე-9 ნაწილის უბნის ზედამხედველის (ოკოლოდოჩნი ნადზირატელი) მონასტირსკისა. 30 იანვარს მიხეილის ქუჩაზე მდგარან ვაჟთა მეორე გიმნაზიის მოსწავლენი სურენ ბოგატუროვი, მიხეილ მირზოევი, ალექსანდრე მელნიკოვი, პლატონ ბოჩარიშვილი, სურენ ჩილინგაროვი და ლევან წერეთელი. მონასტირსკის დაუძახნია მეეზოვეთა და პოლიციელთათვის და მოუთხოვნია, პოლიციის ნაწილში წასულიყვნენ. მოსწავლეებს უთქვამთ პოლიციელებისათვის, ზრდილობიანად მოჰქცეოდნენ და ჯიგლიგით არ წაეთრიათ პოლიციაში. ამაზე მონასტირსკის მუშტი შემოუკრავს სურენ ბოგატუროვისათვის, ამასთან ამოუღია ნახევრად ხმალი ქარქაშიდან. მონასტირსკი პასუხის გებაშია მიცემული სასჯელთა დებულების მე-347 და 135 მუხლების ძალით.

◆ **ხაშურიდან გვწერენ:** როგორც სხვაგან, აქაც ნება მოსვლიათ რკინის გზის მოსამსამსახურეთ იფიქრონ თავიანთ ჭირ-ვარამზე, გამოარკვიონ საჭიროებანი და წარუდგინონ გზის უფროსს. თუ ასეა, სასურველია, სხვათა შორის, არ დასტოვონ უყურადღებოდ რკინის გზის აქაური ორ-კლასიანი „ნორმალური" სასწავლებელი. ამ უკანასკნელში, სადაც [illegible] ბევრად მეტი ქართველი მოსწავლეა, სრულიად გამოტოვებულია [illegible] სადმე იხსენიება ქართული ენა. ხშირად შეჰხვდებით ამ სასწავლებლის ქართველს ბავშვს, რომელმაც არამც თუ ქართული კითხვა, ქართული ასოების ცნობაც არ იცის. რამდენად არა ნორმალურია ამ „ნორმალურ" სასწავლებელში ასეთი მოვლენა, ცხადზე უცხადესია და ამიტომაც მეტად მიგვაჩნია ამის განმარტება. როგორც ისმის, მომავალ წლიდან გადაწყვეტილია ამ სასწავლებლის ოთხ-კლასიან საქალაქო სასწავლებლად გადაკეთება და უთუოდ მაშინაც გამოტოვებული იქნება ქართული ენა. სწორედ ამიტომ საჭიროა რკინის გზის მოსამსახურეებმა ყურადღება მიაქციონ ამ გარემოებას და მოითხოვონ ქართული ენა.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ **რკინის გზის მოსამსახურეთა მომხმარებელ საზოგადოებას** დიდი ვალი დაედო რკინის გზისა. ეს საზოგადოება საქონელს ლიანდაგზე ჰგზავნიდა მოსამსახურეთათვის, მაგრამ ამ საქმეში გზა არავითარ შეღავათს არ უწევდა და ბაჟს იმდენსავე ახდევინებდა, რამდენიც სხვაზეა დაწესებული. ვალი 16 ათას მანეთამდე ავიდა. საზოგადოებამ შუამდგომლობა აღძრა მინისტრის წინაშე, რომ ნება მისცეს ეს ვალი ნაწილ-ნაწილად გადაიხადოს, თვეში ხუთას-ხუთას მანეთობით. სამინისტროს შეუწყნარებია ეს შუამდგომლობა.

◆ როგორც გორიდან გვატყობინებენ, 21 თებერვალს **გორის სასულიერო სასწავლებლის** უფროს კლასებში სწავლა შემწყდარა. როგორც ამბობენ, მოსწავლეებს თავიანთი მოთხოვნილებანი წარუდგენიათ სასწავლებლის მთავრობისათვის.

◆ როგორც **ბაქოდან „კავ."-ს ატყობინებენ,** გენერალ-გუბერნატორს თავ. ამილახორს ნება დაურთავს დღისით წარმოდგენების გამართვისა. ეხლა საღამოს 8 საათის შემდეგ გამოსვლა აკრძალულია. ამ წესს, როგორც ამბობენ, დიდ-მარხვის პირველ დღიდან გააუქმებენ. გზათა მინისტრს ნება დაურთავს, ბაქოდან შიმავალი რუსი მუშები უფასოდ წაიყვანონ რკინის გზით. ხსენებულ გაზეთის კორესპონდენტის სიტყვით, საომარ დროის წესების გამოცხადების შემდეგ დაპატიმრებულ იქნა რამდენიმე თვალსაჩინო დამნაშავე, ამათ შორის ერთი ყოფილი საერთაშორისო სარევოლიუციო კომიტეტის წევრი და ორიც ქალი. უპოვნიათ მრავალი პროკლამაცია, საიდანაც სჩანს რევოლიუციონერების ცუდი განზრახვა ბაქოს გუბერნატორის თავ. ნაკაშიძის წინააღმდეგ. ფიქრობდნენ თურმე ამ განზრახვის სისრულეში მოყვანას და მერე პროკლამაციების ხალხში გაფანტვას.

◆ **მამუკას სოფელში** უკვე დაარსდა პირველ დაწყებითი სამინისტრო სასწავლებელი. ჯერ-ჯერობით მიიღეს 29 ბავშვი, აქედან 28 ვაჟი და 1 ქალი.

◆ დღეს, 23 თებერვალს, სახაზინო თეატრში დანიშნულია **საბენეფისო წარმოდგენა** ჩვენის მსახიობის კოტე მესხისა. წარმოადგენენ, პირველად ქართულ სცენაზე, ცნობილ ხუთ მოქმედებიან დრამას „რუი-ბლაზს". წარმოდგენაში მონაწილეობას იღებენ ყველა საუკეთესო ჩვენი მსახიობნი, მათ შორის ლ. მესხიშვილიც.

◆ ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ **ქუთაისში არ მუშაობს** რკინის გზის მუშათა არტელი. არტელმა ჯამაგირების მომატება ითხოვა. ეხლა, როგორც ქუთაისიდან გვატყობინებენ, რკინის გზის მიმოს-

---

ამ გვარი მუშაობა შესაძლებელია მხოლოდ იმისთვის, ვისაც მძიმე უღელი მონობისა არ აწევს და არ უხუთავს სულს ან იმედი აქვს, რომ ამ უღელს გადიგდებს კისრიდან. მონურ ქვეყნებში ყველგან შეჩერებულა წინმსვლელობა, პროგრესსი, გაყინულა, გაშეშებულა ერთ წერტილზე საზოგადო აზრი და ხალხს დაჰკარგვია ენერგია და ხალისი წინ-სვლისა პროგრესსის გზაზე. ხანგრძლივი მონობა ხალხის ხასიათს, ძირითად თვისებებს ამახინჯებს, ანადგურებს და სამუდამოდ სპობს პროგრესს. და ძლიერ დიდი ხანგრძლივი გარეგანი ზედგავლენაა საჭირო, რომ ამ გვარმა ქვეყანამ კვლავ გაიღვიძოს [illegible] ძილისაგან.

აქ უნდა ვახსენოთ კიდევ ორი აუცილებელი პირობა თვით-მმართველობისა; პირველი თვით-მმართველ ხალხის თვითეულ წევრს უნდა ესმოდეს [illegible] აზრი, ერთს მეორისა უნდა გაეგებოდეს; მეორე: თვით-მმართველ ხალხს უნდა ჰქონდეს საზოგადო საქმეები, საზოგადო მიზანი, ურომლისოდაც საზოგადოების ორგანიზაცია, წევრთა კავშირი ძლიერ სუსტია და ადვილად ირღვევა.

ახლა ვიკითხოთ, როგორი უნდა იყოს სიდიდე საზოგადოებისა, რომ თვითეული ხსენებული პირობა იქმნეს დაკმაყოფილებული?

საზოგადოება არ უნდა იყოს ძლიერ პატარა. პატარა საზოგადოებას სუსტი ძალა აქვს და არ შეუძლიან გაუძღვეს დიდ საეკონომო საქმეებს. ამგვარ საზოგადოებას არ შეუძლიან შექმნას რთული განაწილება შრომისა, ყველა დარგი მრეწველობისა, მეცნიერებისა და ხელოვნებისა. პატარა საზოგადოებას შეუძლიან გაუძღვეს მხოლოდ თავის საკუთარ პატარა საქმეს. მაგრამ არ შეუძლიან შექმნას სახელმწიფო.

მეორე მხრით, უზარმაზარი, დიდი სახელმწიფოც, თუნდ რესპუბლიკაც იყოს, ვერ აკმაყოფილებს თვით-მმართველობის მოთხოვნილებას. რატომ? იმიტომ, რომ ქვეყნის მეტისმეტი სიდიდე აღემატება მრეწველობისა, მეცნიერებისა და ხელოვნების მოთხოვნილებას. კოოპერაცია, შრომის განაწილება შესაძლებელია შედარებით პატარა საზოგადოებაშიაც. მაგალითად, პატარა ბელგიაში უფრო სრულია ეს განაწილება შრომისა, ვიდრე დიდ რუსეთში. პირიქით, ეს შეუთანხმებლობა სახელმწიფოს სიდიდისა და თვით-მმართველობის საჭიროებისა ძლიერ აფერხებს საზოგადოების განვითარებას, წინ-სვლას.

მკითხველი დამეთანხმება, რომ, რაც უფრო ბევრია ცენტრი მრეწველობისა, მეცნიერებისა და ხელოვნებისა, მით უმჯობესია კაცობრიობის განვითარებისათვის. მრავალი ცენტრი კულტურისა და განათლებისა ჰქმნის ამ ცენტრების ერთმანეთთან კულტურულ შეჯახებას, ცილობას, კონკურენციას. რაც უფრო ბევრია დედა-მიწის ზურგზე ამგვარი ადგილი, მით მეტი წილი კაცობრიობისა იღებს მონაწილეობას სამრეწველო და სამეცნიერო ასპარეზზე. ამიტომ კაცობრიობის მიზანი უნდა იყოს, შეიქმნას, რაც შეიძლება, მეტი ცენტრი კულტურისა და განათლებისა. რაც უფრო თანასწორად არის განაწილებული განათლება და კულტურა ქვეყანაზე, მით უფრო მჭიდროა ერთობა კაცობრიობისა. სულიერი, გონებრივი და ზნეობრივი ერთობა შეიძლება იყოს მხოლოდ იქ, სადაც არის თანასწორობა განვითარებისა. ყოველი სხვაგვარი ერთობა არის ერთობა ძალადობისა და მონობისა.

როდესაც უზარ-მაზარ სახელმწიფოს აქვს ერთი პოლიტიკური ცენტრი, ეს ცენტრი სცდილობს შეჰქმნას სახელმწიფოში მხოლოდ ერთი ეკონომიური ცენტრი. ცენტრალიზმი ჰქმნის ცენტრალიზმს. „მსგავსი ყოველი მსგავსსა შობს". (შოთა რუსთ.).

მთავრობა მეტს ყურადღებას აპყრობს ერთს რომელსამე კუთხეს, სცდილობს მოახმაროს სახელმწიფოს მთელი ქონებრივი და ზნეობრივი ძალნი ერთი ცენტრის შექმნას, იფარავს მრეწველობას, მართავს უნივერსიტეტებს და სხვა უმაღლეს სასწავლებლებს უმთავრესად ერთს ცენტრში. რატომ? ყოველივე ეს აუცილებლად საჭიროა პოლიტიკურ ცენტრისათვის, რადგან პოლიტიკური ძალა დამყარებულია ეკონომიურ ნიადაგზე.

ცენტრში იკრიბებიან ქვეყნის გონებრივი და ზნეობრივი ძალნი და ქვეყნის სიმდიდრე. ცენტრი სისხლსა სწოვს პროვინციებს, ექსპლოატატორია პროვინციებისა.

პოლიტიკური ცხოვრება უფრო ინტენსივი და განვითარებულია ცენტრში. პირველად იმიტომ, რომ პოლიტიკური განვითარება მით უფრო დიდია, რაც უფრო დიდია ეკონომიური განვითარება; და რადგან ცენტრი აფერხებს პროვინციების ეკონომიურ განვითარებას, აფერხებს, მაშასადამე, მათს პოლიტიკურ განვითარებასაც. მეორე: რაც უნდა სრული და დემოკრატიული იყოს საარჩევნო წესები, პროვინცია მაინც ვერ მიიღებს შესაფერ მონაწილეობას საკანონმდებლო მუშაობაში. საკანონმდებლო მუშაობა სწარმოებს ძლიერ შორს პროვინციიდან, თვითეულ პროვინციას ჰყავს პარლამენტში, საერთო კრებაში, მცირე რიცხვი წარმომადგენლებისა. პირადად მოლაპარაკება კანონ-მდებლებთან შეუძლებელია. პროვინციების ჟურნალ-გაზეთობას თავის დღეში არ შეუძლიან მოიპოვოს გავლენა ცენტრში. ამგვარად ცენტრში თავს იყრის ქვეყნის პოლიტიკური ცხოვრება, პროვინციის პოლიტიკური გულ-გრილობა აუცილებელია.

პატარა ერი, რომელიც შეადგენს დიდ ერთან ერთს სახელმწიფოს, აქვს დიდ ერთან ერთი პოლიტიკური ცენტრი, მოკლებულია თვითმმართველობას. ხალხს არ შეუძლიან, მთავარი ენის უცოდინარობის გამო, თვალი ადევნოს და ყური ათხოვოს საკანონმდებლო ბჭობას, ლიტერატურას. არ შეუძლიან მოიპოვოს გავლენა უცხო ერის წარმომადგენლებზე. ერთის სიტყვით, გაწყვეტილია კავშირი პატარა ერსა და საკანონმდებლო მთავრობას შორის. ამის გამო 1) არსებითი საჭიროება პატარა ერისა არასოდეს არ არის დაკმაყოფილებული, 2) „განონიერი", ლეგალური პოლიტიკური ცხოვრება სუსტია, 3) ერი მთელ თავის ძალასა და ენერგიას ხმარობს ბუნებრივ, უსაჭიროეს უფლებათა მოსაპოებლად, მაგალითად, ენის გასათანასწორებლად, საკუთარ პარლამენტის მოსაპოებლად და სხ., მშვიდობიანი ცხოვრება სამეცნიერო და საეკონომიო ნიადაგზე შეუძლებელი ხდება.

მაშ ვინც უარსა ჰყოფს ეროვნულ თვითმმართველობას, იგი უარ-ჰყოფს თავის სამეცნიერო და სამრეწველო განვითარებას; ახანგრძლივებს ბრძოლას ბუნებრივ უფლებათა მოსაპოებლად, ჰქადაგებს პოლიტიკურ მონობას.

დიაღ, ყოველი ცენტრალისტი, რა საეკონომიო მოძღვრებასაც უნდა მისდევდეს იგი, განმამტკიცებელია მონობისა. თავ-მოყვარე ერი თავის დღეში არ მიჰყვება მათ, რადგან ხელს ვერ აიღებს თავის თავზე, არ მოინდომებს თავის ხელით დაიდგას მონობის უღელი თავის კისერზე.

მაშ იდეალური თვით-მმართველობა შეიძლება იყოს მხოლოდ პატარა პოლიტიკურ ასპარეზზე. ახალ ზელანდიაში, სადაც მხოლოდ 200,000 სული ცხოვრობს, უკეთესად არის მოწყობილი პოლიტიკური ცხოვრება, ვიდრე თვით ინგლისში. დიდი პოლიტიკური სხეული ერთობ შეუფერებელი გამოდგა ყოველ-მხრივი განვითარებისათვის. ამას გარდა იდეალური თვით-მმართველობა უნდა იყოს დამყარებული ეროვნულ ნიადაგზე. მხოლოდ ამ შემთხვევაშია შესაძლებელი ყოველ-მხრივი განვითარება თვითეულის ერისა.

ერთობა?—მკითხავს მკითხველი.

ის ერთობა სხვა და სხვა ერთა შორის, რომელსაც ჰქადაგებენ ცენტრალისტები, არის ერთობა-ბატონყმობისა, ძალ-მომრეობაზე დამყარებული. მარტო ერთობა არა კმარა: საჭიროა კიდევ თანასწორობა. და თანასწორობა კი არ შეიძლება იყოს ჩაგრულსა და მჩაგვრელს შორის, სუსტსა და ძლიერს შორის, გაუნათლებელსა და განათლებულს შორის, ღარიბსა და მდიდარს შორის. მე მწამს ერთობა მხოლოდ თანასწორთა და თავისუფალთა.

ამიტომ, ჩვენი სურვილია, იყოს, რაც შეიძლება, მეტი, სამეცნიერო, საეკონომიო, საპოლიტიკო ცენტრი, განვითარდეს თანასწორად ყოველი კუთხე ქვეყნისა, მიენიჭოს ყველა ერებს თანასწორი პოლიტიკური უფლებანი. დეცენტრალიზაცია საზოგადოდ, ეროვნული თვით-მმართველობა კერძოდ,—აი ჩვენი პოლიტიკური იდეალი.

ვასილ წერეთელი.

ვლის უფროს უცნობებია არტელის უფროსისათვის, რომ არტელის ყველა მუშას რკინის გზა მისცემს 25 მან., ხოლო უფროს მუშას—30 მანეთსაო. წინად ნაკლებს იღებდნენ.

✦ უკვე ვწერდით, რომ 15 თებერვალს **ბაქოელ ქართველობას** კრება ჰქონდა ბაქოში მომხდარ ამბების გამო მოსალაპარაკებლად. კრებას სურვილი გამოუთქვამს, რომ ამ ამბების მიზეზთა გამოსაკვლევად საქმე დაწვრილებით იქმნას გამოძიებული• ამასთან დაუდგენია, გამართოს ხელის მოწერა დაზარალებულთა სასარგებლოდ.

✦ სად. პადარი. 22 თებერვალს, საღამოს 8 საათზე, როდესაც საქონლის მატარებელი № 402 უნდა სადგურიდან გასულიყო, შეცდომით ისარი ტუპიკზე გადასდეს, სადაც ვაგონები იდგა. ორი ვაგონი დაიმტვრა, დანარჩენი ლიანდაგს გადასცდა.

✦ გუბერნატორმა მისწერა ტფილისის ქალაქის გამგეობას, რომ 17 და 29 იანვრის საბჭოს კრებების ოქმები უკვე მივიღე და 28 დეკემბრისა, 24 და 31 იანვრის კრებების დადგენილებათა ოქმები-კი არ მომიღიაო. გუშინ ქალაქის მოურავმა აცნობა გუბერნატორს, რომ 28 დეკემბერს, 24 და 31 იანვარს კრებები საბჭომ თითქმის სულ ხარჯთ-აღრიცხვის განხილვას მოანდომა და რადგან ჯერ სულ არ არის დამთავრებული ხარჯთ-აღრიცხვა, ამიტომ ვერ გამოვგზავნეთო.

✦ სცენის მოყვარე თათართა მიერ 21 თებერვალს გამართულ წარმოდგენიდან შემოსულა 453 მ.ნ. სცენის მოყვარეთ ეს ფული წარუდგენიათ გუშინ ტფილისის ქალაქის მოურავს და სთხოვეს ფული მოხმარდეს ბაქოში დაზარალებულთ განურჩევლად ეროვნებისა.

✦ ტფილისის პოლიციის მეოთხე ნაწილის უბნის ზედამხედველად ნამყოფი გ. ჯაფარიძე დაინიშნა ბათუმის ნავთ-სადგურის ბოქაულად.

✦ სად. ერევანი. 22 თებერვალს მე-142 ვერსტზე ლიანდაგის დარაჯს ცამეტმა თათარმა მიუყვანა ერთი დაჭრილი თათარი და უთხრა, სოფელ პარაკავიტს დასჭრეს სომხებმაო. თითონ სადღაც მიმალნენ. დაჭრილი გარდაიცვალა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ 22 თებერვალს დაადგინა, საჩივარი აღძრას ივანე მერკუროვსა და გიორგი ჩიტაძეს წინააღმდეგ, რომელთაც მიისაკუთრეს ქალაქის ადგილები.

✦ ორთაჭალის ბაღებს ახლო 22 თებერვალს ნახეს გვამი მოკლულ მეეტლის პანკრატოვისა. მოკლულს თავი გადაჩეხილი აქვს იარაღით. პოლიციას ჯერ ვერ გამოურკვევია მიზეზი მკვლელობისა.

✦ ტფილისის ქალაქის გამგეობამ დაამტკიცა ქუჩების მომკირწვლელ კომისიის დადგენილება. ქუჩების მოკირწვლის დროს ხელმძღვანელად დაინიშნა ინჟ. ტერ-გრიგორიანცი და ჯამაგირად ექმნება წელიწადში 2,000 მან.

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

ბათუმი, 23 თებერვალი. ბათუმში ცვლილება არარა მომხდარა-რა. საქონლის დასატვირთავად და გადასატვირთად სალდათები მუშაობენ.

სამტრედია. 22 თებერვალს, დილის 8 საათზე, ვიღაც უცნობმა კაცებმა ბაზარში ყიდვის დროს მძიმედ დასჭრეს სამტრედიის დროებით ბოქაული ჩიკვილაძე. ჩიკვილაძეს ორი ტყვია მოარტყეს, ერთი თავში, მეორე—ფეხში. დაჭრილს შემწეობა აღმოუჩინა რკინის გზის ექიმმა. დამჭრელნი დაიმალნენ.*)

ერევანი, 23 თებერვალი. 22 თებერვალს სომხის ეკკლესიებსა და თათრის მეჩეთებში ლოცვები იყო. ლოცვის შემდეგ ქალაქის ინტელიგენცია და სომეხ-მაჰმადიანთა სამღვდელოება ქალაქს უვლიდა და ხალხს ამშვიდებდა. ამისდა მიუხედავად 22 თებერვალს მაინც ხუთი მკვლელობა მოხდა ქალაქის განაპირა უბნებში. დასჭრეს აგრეთვე ერთი ყაზახი, საერთოდ კი სამღვდელოების და ინტელიგენციის გამოსვლამ დიდი გავლენა იქონია. რამდენადაც გამოარკვიეს, 20, 21 და 22 თებერვალს მოკლული და დაჭრილი სამოც კაცამდეა. ამბობენ, მეტი უნდა იყოს, რადგან თათრები თავიანთ მოკლულ-დაჭრილებს მალავდნენო. დღეს, 23 თებერვალს სრული სიმშვიდეა, თუმცა მაღაზიები მხოლოდ აქა-იქაა ღია. არც მუშები გამოდიან სამუშაოდ. ეტლები მუშაობენ.

ქუთაისი, 23 თებერვალი. გაიფიცნენ ფოტოგრაფიების მოსამსახურენი. მათ წარუდგინეს ფოტოგრაფიის პატრონებს მოთხოვნილებანი თავიანთ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.

ღამის დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"

23 თებერვალი

ტოკიო, 22 თებერვალი. შემდეგში მოსულის, უმეტესად ოფიციალურის, ცნობების თანხმად, რომელნიც ფრონტიდან მოდის, იაპონელები დაუბრკოლებლად მიდიან წინ, მიუხედავათ იმისა, რომ რუსები თავგანწირვით ებრძვიან მათ. 21 თებერვალს რუსებმა რამდენიმე კონტრ-იერიში მიიტანეს სინცზინის მხარეს, მაგრამ ყველა იერიში მოგერიებულ იქნა. 21 თებერვალს ღამით იაპონელებმა დაიჭირეს მაღლობი ხუანხეს ჩრდილო-აღმოსავლეთით, 4 კილომეტრის მანძილზე, სამხრეთით მაძიადანიდგან. 21 თებერვალს, ნაშუადღევს, მათ დაიჭირეს პანცზინი, ბენსიხუს მიდამოებში, 6 მილის მანძილზე მადზიადანის სამხრეთით და ამას გარდა დაახევინეს რუსებს სინტინცხიდან, ორის მილის მანძილზე, ტუძხიატუნის სამხრეთ-დასავლეთით. რუსებმა 20 თებერვალს ღამით კონტრ-იერიშები მიიტანეს იაპონიის ფრონტზე გოტულინთან, მაგრამ ეს იერიშები და აგრეთვე სხვებიც მოგერიებულ იქნა. ამ წამს იაპონელები იბრძვიან ხენჩიპუსა და ელტხაიცზის შორის, რკინის გზის დასავლეთით. რუსები ენერგიულ წინააღმდეგობას უწევენ. მათ, როგორც ეტყობა, მაშველი ჯარი მოსვლიათ. 21 თებერვალს დილით რუსებმა კონტრ-იერიში მიიტანეს იაპონიის პოზიციებზე დაშიჩაოსთან, ხუნხეს მარჯვენა ნაპირას, ათის მილის მანძილზე, მუკდენიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით. დღევანდლამდე ყველა იერიში მოვიგერიეთ. როგორც გაზეთების ცნობებიდან სჩანს, რუსების უმთავრესი ჯარი უკვე შეუდგა უკან დახევას, მაგრამ მაინც [illegible] პირების აზრით ჯერ კიდევ არაა ნიშნები უკან დახევისა. იაპონელები მივიდნენ იმ პოზიციამდე, რომელიც მუკდენიდან დასავლეთით ძევს ექვსი მილის მანძილზე და ემუქრებიან ამ გვარად რუსების ცენტრის უკან დახევას; ეს ცენტრი ეხლა თითქმის გარშემორტყმულია მტრის ძალით. აქამდე არაა ცნობები იაპონელების გასალაშქრებელ მოძრაობის შესახებ სინცზინის მიდამოებში. ძლიერ სარწმუნო პირის აზრით კუროპატკინმა იცოდა, რომ იაპონელებს განზრახვა ჰქონდათ იერიში მიეტანათ სინმინტინზე, მაგრამ მას ეგონა, რომ ძლიერს იერიშებს მივიტან იაპონიის ცენტრზე და ამით შევიქცევ იმათ უმთავრესს ჯარებსო. კუროპატკინი რომ ცინხენჩენსა და ხუნხეს შორის შეიჭრა, ამით მას სურდა, იაპონელთ ცენტრს ორ ნაწილათ გავაყოფინებო. მაგრამ ეს გეგმა ვერ მოიყვანა მან სისრულეში, პირიქით, ძალიან შეუწყო მან ამით იაპონელთ მოქმედებას ხელი. ოიამა განსაკუთრებით მნიშვნელობას აძლევდა სინმინტინის აღებას. დაბოლოს კუროპატკინი ეცადა მიეგნო იაპონიის ცენტრის სუსტ ადგილებისთვის, მაგრამ ეხლა, როგორც ეტყობა, იგი დარწმუნდა, რომ ეს გეგმა უიმედოა და ამიტომ სცდილობს გააძლიეროს ფრთები; ამას-კი საფრთხე მოსდევს, რადგანაც ცენტრი სუსტდება ფრთებზე ჯარის გადაყვანით.

პეტერბურგი ირკუტსკის გუბერნატორი მოლერიუსი შინაგანი სამინისტროს საბჭოს წევრად დაინიშნა.—12-დან 19 თებერვლამდე არც დონის ჯარების ოლქში და არც სხვაგან სახელმწიფოს ადგილებში ხოლერით არავინ არ გამხდარა ავად. ვიატკის გუბერნიაში ციმბირის წყლულით ავადმყოფთა რიცხვი შემცირდა.—შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ ის არ ხედავს დაბრკოლებას, ნება მიეცეთ მღვდლებს, მასწავლებლებს, სასანიტარო მზრუნველებს, ნაწილის ფელდშრებს და ფელდშერქალებს, უთხრან ხალხს ბროშურები ხოლერის შესახებ და მისცენ საჭირო განმარტებანი, თუ ეს ბროშურები საგუბერნიო სასანიტარო აღმასრულებელი კომისიისაგან იქმნება მოწონებული.—საიმპერატორო მართლმადიდებელი პალესტინის საზოგადოების თავმჯდომარის თანაშემწის უქვეშევრდომილესი მოხსენების თანახმად, გამოცხადდა უმაღლესი ნება, ასრულებულ იქნას სურვილი დიდის მთავრინას ელისაბედ თეოდორეს ასულისა, იკისროს თავმჯდომარეობა პალესტინის საზოგადოებაში.

ბერლინი. ფიქრობენ გამოსცენ ახალი სახელმწიფო სესხი, სახელდობრ 400 მილიონი მარკ. აფრიკულ ექსპედიციისათვის 1904 წლისთვის დასამატებლად მოითხოვეს $26\frac{1}{2}$ მილიონი მარკა; 1905 წლისთვის საჭიროა 34 მილიონი.

ლონდონი. საღამოთი მეფე გამართავს ბანკეტს ბუკინგემის სასახლეში ბულგარეთის მთავრის პატივსაცემლად. ლანსდოუნი დიდ ხანს ელაპარაკა ბუკინგემის სასახლეში მთავარს ფერდინანდს. ამ ბაასს მეფეც დაესწრო ცოტა ხნით.—მთავრის მოსვლა შემდეგს აზრს ათქმევინებს „ტაიმს"-ს: იგი ურჩევს ბულგარეთს, თავი დაანებოს წვრილ-წვრილ ინტრიგების პოლიტიკას და დიდ სახელმწიფოებთან ერთად იმოქმედოს და უშველოს მაკედონიის დაწყნარებასა და მისი შინაგანი საქმეების მოწეს-რიგებაში.

ლონდონი. აქ წუხილსა და მოუთმენლობას ეძლევიან, რატომ ასე დიდხანს რჩება დენის ინგლის-ინდოეთის მისსია ქაბულში, სადაც იგი გაგზავნილი იყო ახალი ხელ-შეკრულობის შესახებ მოსალაპარაკებლად. ამ ხელ-შეკრულობამ საბოლოოდ უნდა დაამყაროს ავღანისტანსა და ინდოეთს შორის დამოკიდებულებანი. „პელ-მელ გაზეთ"-ს ეშინიან, ვაი თუ ამდენი ხნის მოლაპარაკებას, რომელიც წინ არც-კი წაწეულა, რაიმე დაბრკოლება წამოებორკოს ემირის მხრივ, რომელიც ეშმაკი და გაიძვერა კაციაო. დენის ამდენის ხნის დარჩენა ქაბულში და მისი იქ გაჭრობა ხელ-შეკრულობის შესახებ, თითქოს აღმოსავლეთის ბაზარზე ჭიდლობდეს რასმეო, მოუხერხებელია ინდოეთის მთავრობის ღირსებისათვისო.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან".

23 თებერვალი

მუკდენი, 22 თებერვალი. ათი დღის სისხლის მღვრელი ბრძოლა უფრო და უფრო მწვავდება. ორივე მოპირდაპირე აუარებელს ყუმბარებს ისვრიან. მას შემდეგ, რაც ჩვენმა მარჯვენა ფრთამ შეუხვია ჩრდილოეთისკენ, გამოიცვალა რა ფრონტი იაპონიის გარს შემომვლელ კოლონის პირდაპირ, ორივე მტერი თავ-თავიანთ პოზიციებზე არიან გამაგრებული. დასავლეთ ფრონტზე სხვა-და-სხვა პუნქტები ერთის ხელიდან მეორეში გადადის და ბევრი სისხლიც იღვრება. დღეს უმთავრესი ბრძოლა სწარმოებდა სოფ. იუხუანტუნთან, სინმინტინის გზაზე. 5 საათზე ჩვენი ჯარები გამაგრდა სოფელში. იაპონელებს მაინც მოჰქონდათ იერიში. 21 თებერვალს იაპონელებმა ხელახლა მოიტანეს იერიში რენენკამფის რაზმზე, გოუტულინის უღელტეხილზე და პუტილოვის გორაკთან მყოფ პოზიციაზე.

ტოკიო, 22 თებერვალი. ხოინშინგის მხარეს ორშაბათს რუსებმა, ტიტაიტის ახლოს, რამდენიმე კონტრ-იერიში მოიტანეს, რომლებიც მოგერიებულ იქნა. („რეტ.").

ლონდონი, 22 თებერვალი. იაპონიის საელჩოს ატყობინებენ, რომ რუსებმა, ტიტის ახლოს, 21 თებერვალს, რამდენიმე კონტრ-იერიში მოიტანეს, მაგრამ მოიგერიესო. მაჩუნტანთან იაპონელები განაგრძობენ იერიშის მოტანას. რუსები თავგანწირვით ეწინააღმდეგებიან. მაჩუნტანიდგან, ორის მილის მანძილზე, იაპონელებმა დაიჭირეს მაღლობები. 21 თებერვალს იაპონელების რაზმმა დაიჭირა მაღლობები პაცზუკუს სამხრეთით, პენსიხუს მხრივ. რუსების 20 თებერვლის იერიში კაოტელინის ახლოს ტუნგჩანფუგის ჩრდილოეთ ნაწილზე ფუჭი იყო. ამ წუთას ბრძოლა სწარმოებს ხანჩეპაოსა და ერლი-ტაიცზუს მიდამოების გასწვრივ. რუსების ერთი დივიზია და 70 ზარბაზანი გამოჩნდა ხუნხეს მარჯვენა ნაპირზე, მაგრამ უკუგდებულ იქნა.

სინმინტინი, 22 თებერვალი („დეილი ტელეგ"). რკინის გზის სადგურთან გამწვავებული ბრძოლაა.

მუკდენი, 19 თებერვალი. იაპონელები სამის მილით მოუახლოვდნენ სადგურს მაგრამ რუსებმა უკუაგდეს და იმათ დაიხიეს 7 მილის მანძილზე.

პეტერბურგი, 22 თებერვალი. გლეხთა სადგილ-მამულო ბანკს ნება მიეცა გამოუშვას მეცამეტეჯერ 4%-ანი სახელმწიფო მოწმობა 15 მილიონი მანეთისა წინანდელ 4%-ან გამოცემის პირობებით. 3 მარტს კომისია ფინანსთა სამინისტროს ახალი რკინის გზებისა განიხილავს პრინციპიალურ საკითხს რკინის გზის ლიანდაგის გაკეთების შესახებ. ამ ლიანდაგმა უნდა შეაერთოს ციმბირის რკინის გზა თურქესტანთან. განიხილვენ აგრეთვე კერძო პირების მოსაზრებასაც ამავე საკითხის შესახებ. დროებითი წესების ძალით ნება ეძლევათ სახაზინო რკინის გზის მუშებს წარადგინონ ამორჩეული კაცები თვითეულ გამყოფილებიდან, რათა იმათ განუცხადონ მთავრობას თავიანთი გასაჭირი და მონაწილეობა მიიღონ კომისიებში, რომლებიც მუშათა დღვის საქმის მოწესრიგებისთვისაა ამორჩეული. ამ კომისიებში მუშათა დეპუტატებს რჩევის დროს ხმა აქვთ დეპუტატებს ირჩევენ ორის წლის ვადით და ამტკიცებს მთავრობა.

ეკატერინბურგი, 22 თებერვალი. დაიმტვრა საფოსტო მატარებელი სადგურ ბილიბაისა და ნეილინსკს შორის.

ბათუმი, 22 თებერვალი. დღეს წესიერება არ დარღვეულა. ბნიტოს ქარხნის მუშებს ნამუშევარს აძლევენ და ითხოვენ.

უფა, 22 თებერვალი. უფის საგუბერნიო სტამბის მუშებმა გამოუცხადეს ხელმწიფეს ერთგულ-ქვეშევრდომული გრძნობები დიდის მთავრის სერგი ალექსანდრეს ძის გარდაცვალების გამო. ხელმწიფემ საკუთარის ხელით წააწერა: **„გულითად მადლობას ვუცხადებ მუშებს ჩვენი ოჯახის მწუხარებაში თანაგრძნობისთვის".**

პეტერბურგი. ბეჭდვითი სიტყვის შესახებ შეტანილი პროექტის გარჩევის დროს. ხმის უმეტესობით, 12 ხმის წინააღმდეგ, გარდაწყდა სატახტო ქალაქის გაზეთებისთვის დაწესდეს 500 მანეთის ბე, პროვინციალურისთვის კი—2500 მან.

რედაქტორ-გამომცემელი **ალ. გ. ჯაბადარი**.

---

*) „ნ. ობ.“-ს ატყობინებენ, რომ ჩიკვილაძე მოჰკლესო.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა.

ა) ტფილისიდან მიდის:

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 მარტო სამშაბათობით) საღამოს 5 ს. 21 წ. (6 ს. 19 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 44 წ. (8 ს. 42 წ.); 4) საქონლისა და სამგზ. № 18 ღამის 10 ს. 24 წ (11 ს. 22 წ.).

ბათუმს: 1) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 4 ს. 20 წ., (5 ს. 18 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 29 წ. (7 ს. 27 წ.).

ერევანსა და ყარსს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 55 წ. (12 ს. 53 წ.); 2) საქონლ. სამგზ. № 90/91 დილის 10 ს. (10 ს. 58 წ.).

ბორჯომს: სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. 40 წ. (3 ს. 38 წ.).

ტფილისში მოდის:

ბაქოდან: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ პარასკევს), ნაშუადღევის 2 ს. 26 წ. (3 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 3 ნაშუადღევის 3 ს. 03 წ. (4 ს., 01 წ.); 3) სამგზავრო № 5 დილის 5 ს. 56 წ. (6 ს. 54 წ.); 4 საქონ.-სამგზ. № 17 ღამის 11 ს. 38 წ. (12 ს. [illegible]

ბათუ[illegible] საფოსტო № 4 საღამოს 4 ს. 56 [illegible] სამგზავრო № 6 დილის [illegible] წ.).

[illegible]**დან**: 1) საფოსტო № 76/77 დილის [illegible] 55 წ. (6 ს. 33 წ.); 2) საქონ.-სამგზ. [illegible]/93 ნაშუადღევის 3 ს. 50 წ. (4 ს. 48 წ.).

ბორჯომიდან: სამგზავრო № 8/7 დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

ბ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 (მხოლოდ ერთხელ კვირაში) ნაშუალამევის 1 ს. 15 წ. (2 ს. 13 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 52 წ. (8 ს. 50 წ.); 3) სამგზ. № 5 შუადღის 12 ს. 40 წ. (1 ს. 38 წ.); 4) საქ.სამგზ. № 17 დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.)

გ) ბათუმიდან გამოდის:

6 **ბაქო-ტფილისისაკენ**: 1) საფოსტო № 4 დილის 4 ს. 36 წ. (5 ს. 34 წ.); 2) სამგზავრო № საღამოს 6 ს. 05 წ. (7 ს. 03 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

1) სამგზავრო № 51 ღამის 12 ს. 05 წ. (1 ს. 03 წ.); 2) სამგზავრო № 53 დილის 8 ს. 25 წ. (9 ს. 23 წ.); 3) სამგზავრო № 55 ნაშუადღევის 2 ს. 20 წ. (3 ს. 18 წ.); 4) სამგზავრო № 57 საღამოს 6 ს. 20 წ. (7 ს. 18 წ.).

განცხადებანი

სარდაფი

მშრალი, დიდი და სინათლიანი იძლევა ქირით, საწყობად, სარდაფად და სახელოსნოთ კუთხე ელისაბედის და ქსნიევის ქუჩა. იკითხეთ იქვე აფთიაქში. (2—62—1)

ყვირილის თეატრის ამხანაგობის გამგეობა აცნობებს, [illegible] 23 თებერვალს, საღამოს 5 საათზე, 1905 წელს, ყვირილის ამხანაგობის თეატრში დანიშნულია საერთო კრება. რადგან ეს კრება მეორეთ ინიშნება, ამიტომ კანონიერად ჩაითვლება, რამდენიც წევრიც უნდა დაესწროს სხდომას. § 21.

კრებაზე განხილული იქნება შემდეგი კითხვები: 1) ანგარიშის დამტკიცება 1902 1904 წ.წ. 10 მაისამდის. 2) სარევიზიო კომისიის მოხსენება. 3) გამგეობის მოხსენება ანგარიშის მდგომარეობაზე 4) მოხსენება მ. გაჩეჩილაძისა სახალხო წარმოდგენების გამართვის შესახებ. 5) მოხსენება გ. არდიშვილისა სახალხო კითხვების გამართვის შესახებ. 6) გამგეობის მოხსენება თეატრის ვალის დაფარვის შესახებ. 7) გამგეობის წევრთა არჩევა ნაცვლად ქ-ნ. ალ. ჭუმბურიძე-კვირიკაშვილისა, ივანე საყვარელიძისა, ლუკა კელენჯერიძისა და ვანო არდიშვილისა. 8) არჩევა სარევიზიო კომისიის წევრთა.

იმ კითხვების გარჩევა, რომლებიც ამ პროგრამაში არ შედის, არ შეიძლება. § 19.

ცალკე მოსაწვევი ბარათები წევრებს არ გაეგზავნება. (3—2)

იყიდება

სახლი მე-7 ნაწილში, ნუხის ქუჩაზე, № 5 კუთხის სახლი, 66 კვადრ. საჟენი, პირობებისათვის მიჰმართეთ თამამშევის ქარვასლაში ნავთიკოვის მაღაზიაში. (2—1)

თხზულება ნ. ნიკოლაძისა

იაპონია

ფასი - 20კ. აქვე იყიდება დიდი სურათი

შოთა რუსთაველისა ფ.-50კ.

ტფილისი. წიგნის მაღაზია „ცოდნა".

(10—3)

პირველი საწყობი შეშისა

ბ. ი. კურცხალიასი

ცუდად დაწყობილი



ანდრეევის ქუჩა დამოენის პირდაპირ. საკუთარის ტყიდან მიღებულია დიდ-ძალი შეშა ყოველგვარი ლი[illegible]ხებისა, რცხილისა, წიფლისა, ნუხისა, რთხმელისა და სხვა. მუხის დიდი ბოძები. შეშის სახლში მიტანას ფირმა საკუთარ პოვოზკებით კისრულობს. შეშა იყიდება საქნობითაც და ფუთობითაც მყიდველს ნება აქვს შეშის საჟენი თავის თვალ წინ დაადგმევინოს, რადგანაც მსყიდველები ბევრჯელ სტყუვდებიან დადგმულ საჟენ-იდან. მეორე განყოფილება იმყოფება ვერის ხიდის ყურთან.

კარგად დაწყობილი



90—8)

გამგე ნიკოლოზ პავლეს ძე კიკნაძე.

უმორჩილესად გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ქარხნის დაღს.

ამ ბოლო დროს ბაზარზე იყიდება მოლაპარაკე მანქანები სხვა-და-სხვა ნაირი, რომელსაც გამკეთებლები ეძახიან „ტონარმამის და ამით ჰბაძავენ ჩვენ მიერ გამოგონილ და გასასყიდად გატანილ გრამოფონებს, რომელსაც „ტონარმი" ჰქვიან.

რადგან რუსეთის იმპერიის კანონებით სახელის მითვისება კონტრაფაქციად არ ითვლება, ამიტომ იურიდიული უფლება არა გვაქვს, ავუკრძალოთ ვისმეს ამ სახელის ხმარება.

ამისდა მიუხედავად, საყვედურის თავიდან ასაცილებლად, მოვალედ ვრაცხთ ვაუწყოთ პატივცემულ საზოგადოებას, რომ ერთად-ერთი „ტონარმები" საუკეთესო თვისებისა ის არის, რომელსაც ჩვენი ფირმა ამზადებს, ამასთან ყველა ჩვენ აპარატს აქვს ჩვენის ქარხნის დაღი.

ФАБРИЧНЫЙ ЗНАКЪ

TRADE MARK

„მწერალი ანგელოზი".

სააქციო ს-ება გრამოფონი

ტფილისის განყოფილება.

(3—2)

უმორჩილესად გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ ქარხნის დაღს.

ტფილისში ტანისამოსის მკერავი

ი. ნ. სვანიძე.

მიღებულია მდგომარე სეზონისათვის დიდ-ძალი მატერიები რუსული და საზღვარ-გარეთული ტანისამოსის შესაკერად ერის კაცთა, სამხედრო და სამოქალაქო მოხელეთათვის და ყველა სასწავლებლის მოსწავლეთათვის. შეკვეთილი საქმე **მსწრაფლ, კარგათ** და **დროზე** მზადდება. **ფასები ძალიან ზომიერია.** ლორის-მელიქოვის ქ. სახლი ზუბალოვისა-მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის პირდაპირ. (30—19)

«„ივ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»

კიოსკში

ლორის-მელიქოვის ქუჩა, იქ ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაზი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი,„ მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	50
II და III ტომი თითო	1	—
ი, ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	[illegible]
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	[illegible]
ღვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლით და მახვილით, რომანი—გენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25
ფიზიოლოგია—ფოსტერისა	—	20
ხენთი რაფფისა, თარგ. სომხურიდან ბ. ევანგულოვისა		[illegible]

Доз. цен. Тифлисъ, 23 февраль 1905 г.

Электропеч. груз. изд. т—ва. ელექტრონის სტამბა წიგ. გამომ. ამ